41. Implement TIR-EPDLANS, (16 Jun. 2016). International Road Transport Union. <http://ofae.gr/media/documents/2016/06/16/en-tir-epd-green-lanes-0303.pdf>

42. IRU/World Bank road freight transport service reform. (January 2017). <https://www.iru.org/guide-to-road-freight-transport-reform>
 43. ITF Transport Outlook. (2017). Rail Container Transport. OECD. https://www.ttm.nl/wp-content/uploads/2017/01/itf_study.pdf
 44. Kjellen, R. (2001). The State as a Living Organism. Review of International Studies. Berlin.
 45. Luttwak, E. N. (1993). The coming Global War for Economic Power. Philadelphia.
 46. Marinova, V., Abe, M., Hügel, J., Sceia, A. (2016). E-TIR: Towards Paperless Cross Border Trade. United Nations, ESCAP. <https://www.iru.org/sites/default/files/2016-09/eTIR-report-towards-paperless-cross-border-trade-iru-unescap-unece.pdf>
 47. Mody, A., Wang, F. (1997). Explaining Industrial Growth in Coastal China: Economic Reforms... and What Else? (In China).
 48. Papava, V., Silagadze, A. (2019). On the Georgian name of one key economic term “Gross Domestic Product”. J. Economics and Business, No. 1, pp.180-182. Tbilisi.
 49. Sezer, S., Abasiz, T. (2017). The Impact of Logistics Industry on Economic Growth: An Application in OECD Countries. Istanbul.
 50. Transcontinental Infrastructure Needs to 2030/2050 Organization for Economic Co-operation and Development (OECD). (2012). Mumbai Gateway Area Case Study, Opportunities And Challenges, Final Report. <https://www.oecd.org/futures/infrastructureto2030/49996110.pdf>
 51. Vernon, R., Spar D., Tobin, G. (1991). Iron Triangles and Revolving Doors: Cases in U.S. Foreign Economic Policymaking. Santa Barbara.
 52. Wang, X. (2010). Transformation of Growth Pattern and Growth Sustainability in China. (In China).
- Internet Resources:
53. <http://lpi.worldbank.org/>
 54. <http://www.economy.ge>
 55. <http://www.geostat.ge>
 56. <http://www.worldbank.org>
 57. <https://fiata.com/home.html>

JEL Classification: F5; R1; R4; R5; O1; O2.

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.013>

PROSPECTS OF DEVELOPMENT OF GEORGIA'S TRANSIT FUNCTION AND ITS IMPACT ON THE COUNTRY'S ECONOMY

IRAKLI DANELIA

PHd student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
 irakli.danelia@tsu.ge

KEYWORDS: TRANCAUCASUS CORIDOR, TRANSIT, TRANSPORTATION, LOGISTICS, INVESTMENT, ECONOMIC GROWTH.

For citation: Danelia I. (2019), Prospects Of Development Of Georgia'S Transit Function And Its Impact On The Country'S Economy, *Globalization And Business*, №7, pp. 104-116. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.013>

SUMMARY

Depending on geographical location, the development of Georgian economy was directly related to the efficient use of transit function. For Georgia, as a transit function, the importance of transportation infrastructure is important in the formation of its geo-economic positioning strategy. The acquisition, realization and development of Georgia's transport potential began in the 90s of the 20th century. Nevertheless, complex research and analysis on the possibilities of development of transit function of the country in Georgian economic literature is not practically investigated yet. Moreover, there are not identified determinants on the development of the sector, and their impact on the economic development of the country is not defined either.

The study aims to analyze capabilities of Georgia's transit potential and to determine its influence on economic development of the country in the process of integration of modern world economy. The following objectives are derived:

- Identification of significant stimulant determination of development of transport / logistics field and its effectiveness;
- Establishment of transit / logistics potential for economic development of the country.

The objective of the research is the transport and logistics sector in the Member States of the Organization for Economic Cooperation and Development, the Caucasus and Central Asian countries as an important instrument of economic development of the country.

The research is subject to comparative analysis of the targeted and consequential indicators of transport and logistics sector in the member states of the Organization for Economic Cooperation and Development, in the Caucasus and Central Asia.

The theoretical foundation of the research is the works

of various Georgian and foreign researchers about the study.

The survey was based on the World Bank, the Organization for Economic Development and Cooperation, Eurostat, National Statistics Office of Georgia, Georgian and Foreign Professionals, Georgian and Foreign Marine Ports, Railway and Motor Operators, as well as the laws of Georgia.

The work is based on analysis and synthesis, quantitative, qualitative, groupings, and medium-size, graphic expression, indexing, comparison, regression and correlation methods.

The scientific innovation of the research is the attempt to conduct a complex examination of transit capabilities in Georgia, as a result of which:

- Using the Panel Data Analysis Method is reasonable as the development of the transport / logistics sector is a very positive role in the socio-economic development of the country, the main determinant of which is the infrastructural investment.

- Panel examinations and econometric calculations for member and partner countries of the Organization for Economic Co-operation and Development (OECD) with transit function and sea exit confirmed that investments in the transport/logistics infrastructure of these countries are the most efficient.

The paper can be used to overcome the challenges of successful transit systems in Georgia and its successful integration into the world economy. Consequently, the findings and recommendations of the research topic are appropriate for the Ministry of Economy and Sustainable Development, the Ministry of Regional Development and Infrastructure, the Parliament of Georgia and other sectoral authorities, non-governmental organizations, scientific organizations and other stakeholders. In the process of teaching geo-economics, «international economy», «world economy» and their neighboring disciplines.

JEL Classification: L690; N7; Q4

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსის ძირითადი პარამეტრების ფორმირების ტენდენციები

დემურ ჩომახიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
demurchomakhidze@yahoo.com

ქეთევან ცხაკაია

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ketevan.tskhakaia@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ბალანსი, ელექტროენერგია, ექსპორტ-იმპორტი, ჰესები, თბოსადგურები.

ციტირებისთვის: ჩომახიძე დ., ცხაკაია ქ. (2019), საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბალანსის ძირითადი პარამეტრების ფორმირების ტენდენციები, *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7, გვ. 117-122. <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

შესავალი

ელექტრობალანსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ენერგეტიკული ბალანსების სისტემაში. კერძოდ, ეს უკანასკნელი ტრადიციულად ღრმად დეფიციტურია, მაშინ, როცა ელექტრობალანსი წლიურ ჭრილში ბოლო წლებში უდეფიციტოა. იგი წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს, სადაც ასახულია ეროვნული მეურნეობის სტრუქტურა და თავისებურებები, (გველესიანი. 2011).

ელექტრობალანსში ჩანს ისეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის დეტალიც, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხთან და მისი ენერგეტიკული უსაფრთხოების დაცვასთან. ენერგეტიკული სტატისტიკის, მათ შორის ელექტრობალანსის წარმოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას საკმარისი რაოდენობის ელექტროენერგია, ანდა წარმოადგენენ თუ

არა ისინი ელექტროენერგიის იმპორტიორ სახელმწიფოს. ელექტრობალანსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნებისათვის, რომლებიც ენერგიის მუდმივ იმპორტს ახდენენ, აგრეთვე აქვთ ენერგიაშემცველების მოხმარების დაბალი ეფექტიანობის პრობლემა და ვერ ახერხებენ კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროენერგიის ტარიფები (ფასები) მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვნად განსხვავებული და ცვალებადია, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში ეკონომიკური კრიზისის მიზეზიც ხდება. ელექტრობალანსის ანალიზის დროს საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ხილული და ფარული დეფიცეტი. ხილული დეფიცეტი ისეთი დეფიცეტია, რომელიც წარმოადგენს ანგარიშგებით ან ბალანსში ნაჩვენები ენერგიის წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობას. ანგარიშგებითი ელექტრობალანსი სიმძლავრისა და ელექტროენერგიის მოთხოვნილებას აღრიცხავს ელექტროფიკაციის მიღწეული დონისა და ელექტროენერგიის მოხმარების არსებულ ტექნიკურ საშუალებათა შესაბამისად.

ამასთან, იგი სრულებით არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რამდენად პასუხობს იგი ეკონომიკის განვითარების ამოცანებს. იგივე ითქმის ენერგოსისტემის სიმძლავრის ბალანსზედაც. აქედან ცხადია, რომ მართლაც ბალანსების მიხედვით არ შეიძლება ვიმსჯელოთ ელექტროენერჯით ქვეყნის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილების ხარისხზე. ამიტომაც ბალანსში ასახული ენერჯის დეფიციტი ვერაფერს გვეუბნება ეკონომიკის უეჭველად დიდ არაპირდაპირ დანაკარგებზე, რომელთაც იწვევს აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკის ცალკეული დარგების ხელოვნურად შენელება, ელექტროენერჯეტიკული ბაზის ჩამორჩენის გამო.

რეალური ელექტრობალანსისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარული დეფიციტი. ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ რაოდენობას, რომელიც ფაქტურად წარმოებული ელექტროენერჯის ზევით უნდა გამომუშავებულიყო მეურნეობის შიგნით აუცილებელი პროპორციების დაცვისა და მისი მთელი ქვეყნის ეკონომიის მიმართ პროპორციულად განვითარების უზრუნველსაყოფად. ასეთივე ორი სახის დეფიციტი უნდა გავარჩიოთ ენერგოსისტემის სიმძლავრის ბალანსშიც. ცხადია, ფარული დეფიციტი ბალანსში თავისი რაოდენობრივი მნიშვნელობით ასახავს ელექტროენერჯეტიკის განვითარების ფაქტობრივად მიღწეულ და ოპტიმალურ საჭირო დონეთა სხვაობას.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ელექტრობალანსი საბჭოთა პერიოდში ძირითადად დეფიციტური იყო. ამ მხრივ გამოწვევის

ცხრილი 1. საქართველოს ელექტრობალანსი 2005-2015 წლებში, მლნ. კვტ. სთ.

დასახელება	წელი				
	2005	2010	2012	2014	2015
წარმოება (სალტედან გაშვება)	6880,8	9919,2	9471,9	10153,7	10832,6
მათ შორის					
ჰესი	5850,2	9263,3	7122,1	8221,1	8453,8
თესი	1030,6	655,9	2349,8	1932,6	2378,7
იმპორტი	1398,6	222,1	614,6	851,9	699,2
რუსეთიდან	615,7	211,9	517,05	665,6	511,0
სომხეთიდან	252,9			2,1	86,5
თურქეთიდან	9,3	0,0001	629,0	-	-
აზერბაიჯანიდან	20,7	4	97,54	184,2	101,7
ექსპორტი	121,8	1 524,2	528,2	603,6	659,9
რუსეთში	-	1117	369,43	218,6	169,6
აზერბაიჯანში	-	14,31	11,79	8,0	-
თურქეთში	121,5	303,4	79,0	236,5	419,4
სომხეთში	-	89,5	67,9	140,5	70,9
წმინდა მოხმარება, სულ	7842,2	8422,0	9379,4	10402,0	10631,8
ბალანსი (±)	-96,2	+1477,2	+92,5	-248,3	+200,8

შეადგენდა მხოლოდ რამდენიმე წელი (1970-1975, 1979-1980). დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს ელექტრობალანსი კვლავ, მაგრამ უფრო ღრმა დეფიციტური გახდა. განსაკუთრებით ეს ითქმის 1990-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდებზე. 2000 წელს კი ელექტროენერჯის ფაქტობრივმა დეფიციტმა საქართველოში 400 მლნ კვტ.სთ შეადგინა. მცირდებოდა ელექტროენერჯის წარმოებაც (თითქმის ორჯერ). ეს კი განაპირობებდა ელექტროენერჯის მოხმარების იძულებით შემცირებას. მრეწველობაში იგი შემცირდა 11,5-ჯერ, ტრანსპორტზე - დაახლოებით 4-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში (2000 წელს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერჯის წლიურმა მოხმარებამ 7,2 მლნ კვტ.სთ შეადგინა), მშენებლობაში (2000 წელს მოხმარება - 9,0 მლნ კვტ.სთ) და ა.შ. 2005 წელს ელექტროენერჯის დეფიციტი 96,2 მლნ კვტ.სთ-მდე შემცირდა, ხოლო 2007 წლიდან 2014 წლამდე ბალანსი უდეფიციტო იყო (ცხრილი 1), (სემეკის წლიური ანგარიშები, 2005-2017).

2014 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ელექტროენერჯის წარმოება თითქმის 3%-ით გაიზარდა, დეფიციტი მოხმარების ზრდამ (7,3%) განაპირობა. ამ წელს იმპორტის საჭიროებამ 248,3 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა ექსპორტს. 2015 წელს საქართველოს ელექტრობალანსი კვლავ უდეფიციტო გახდა. ამ წელს ელექტროენერჯის წარმოებამ (სალტიდან გაცემა) 10,8 მლრდ კვტ.სთ-ს გადააჭარბა, რომელიც წმინდა მოხმარებას (10,6 მლრდ კვტ.სთ) 200 მლნ კვტ.სთ-ით გადააჭარბა. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 7,3%-ით, ხოლო მოხმარება - 6,2%-ით. შესაბამისად ბალანსი უფრო მეტად დადებითი გახდა.

2005-2015 წლების პერიოდისგან თვისობრივად განსხვავებული აღმოჩნდა ბოლო ორი წლის (2016 და 2017) მაჩვენებლები. კერძოდ, 2016 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ქარის ელექტროსადგური, რომელმაც უკვე 2017 წელს გამოიმუშავა 87,8 მლნ კვტ.სთ. თუმცა ელექტროენერჯის საერთო გამოიმუშავება მაინც შემცირდა 0,4%-ით. ამის ძირითადი მიზეზი გახდა წყალნაკლებობის გამო ჰესებში ელექტროენერჯის წარმოების შემცირება. შედეგად ელექტრობალანსიც დეფიციტური გამოდგა. ამაში თავისი წილი შეიტანა მოხმარების მნიშვნელოვანმა (თითქმის 1 მლრდ კვტ.სთ) ზრდამ, ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა იმპორტული ელექტროენერჯის გადიდება 1,5 მლრდ კვტ.სთ-მდე, (ცხრილი 2), (საქსტატი, 2013-2017).

საქართველოში ელექტროენერჯის ექსპორტ-იმპორტი ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. უკანასკნელი 17 წლის მანძილზე იმპორტის მოცულობა 39,3%-ით გაიზარდა. იმპორტის მაქსიმალური დონე აღინიშნა 2017 წელს


ცხრილი 2. საქართველოს ელექტრობალანსი 2016-2017 წლებში, მლნ კვტ·სთ.

მაჩვენებელი	წელი	
	2016	2017
ელექტროენერჯის გამომუშავება, სულ	11573,6	11531,2
მათ შორის:		
ჰესი	9329,2	9210,4
თესი	2235,4	2233,0
ქარის ელექტროსადგური	9,0	87,8
იმპორტი, სულ	478,9	1497,2
ექსპორტი, სულ	559,0	685,7
მოსმარება	11493,5	12342,7
ბალანსი (±)	+80,1	-811,5

(1497,2 მლნ კვტ·სთ), მინიმალური 2010 წელს (222,1 მლნ კვტ·სთ). საქართველოსთვის ელექტროენერჯის მთავარ იმპორტიორად კვლავ რუსეთი რჩება. საქართველო ელექტროენერჯის ღებულობს ყველა მისი მეზობელი ქვეყნიდან. გასული საბჭოთა წლებისაგან განსხვავებით, საქართველოსთვის ელექტროენერჯის იმპორტიორი გახდა თურქეთი. 2001 წელს თურქეთიდან მიღებული იქნა 523 მლნ კვტ·სთ ელექტროენერჯია, რომელიც იმპორტის საერთო მოცულობაში თითქმის 40%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება ექსპორტს, მისი მაქსიმალური ოდენობა აღინიშნა 2010 წელს (1,5 მლრდ კვტ·სთ), მინიმალური - 2006 წელს (84,4 მლნ კვტ·სთ). რუსეთი ამ სფეროშიც საქართველოსთვის არა მარტო მსხვილი მომწოდებელია, არამედ მას მნიშვნელოვანი რაოდენობით გააქვს ელექტროენერჯია საქართველოდანაც - 2010 წელს 1117,1 მლნ კვტ·სთ, ანუ საქართველოს ექსპორტის საერთო რაოდენობის 73,3%, 2014 წელს - 218,6 მლნ კვტ·სთ, ანუ 36,2%.

ნახ.1. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის სტრუქტურა, 2017 წ.



2017 წელს ელექტროენერჯის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან (917,5 მლნ კვტ·სთ), რუსეთიდან (452,2 მლნ კვტ·სთ), სომხეთიდან (127,5 მლნ კვტ·სთ). ხოლო ექსპორტი - რუსეთში (261,9 მლნ კვტ·სთ), თურქეთსა (284,6 მლნ კვტ·სთ) და სომხეთში (137,5 მლნ კვტ·სთ), აზერბაიჯანი -1,7 მლნ კვტ·სთ, (ნახ.1), (სემეკის წლიური ანგარიშები, 2005-2017).

ელექტროენერჯის იმპორტი საქართველოში ხორციელდება შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

2015 წელს ელექტროენერჯის იმპორტმა შეადგინა 699,2 მლნ კვტ·სთ, ხოლო ექსპორტმა - 959,9 მლნ კვტ·სთ. მთავარი იმპორტიორი ქვეყანა კვლავ რუსეთი დარჩა, რომლის წილი 73,1%-ია. ექსპორტის ყველაზე დიდი რაოდენობა აღინიშნა თურქეთში - 419,4 მლნ კვტ·სთ. ამ ქვეყნის წილმა ექსპორტის საერთო რაოდენობის 63,5% შეადგინა. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებთან შედარებით საქართველოში კვლავ დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება (ცხრილი 3), (Key World Energy Statistics, 2016).

საქართველოს ელექტროენერჯის პროგნოზული ბალანსი დამაიმედებელია. პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით შემუშავებულია „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2018-2029 წლებისათვის. ამ გეგმის მიხედვით 2029 წელს საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება გადააჭარბებს 30 მლრდ. კვტ·სთ, ხოლო მოხმარება 22 მლრდ კვტ·სთ-ს, ანუ შესაძლებლობა იქნება 10 მლრდ კვტ·სთ გატანილ იქნას ექსპორტზე.

ცხრილი 3.

ელექტროენერჯის მოხმარება მოსახლეობის 1 სულზე (2014).

ქვეყანა	მოსახლეობა, მლნ	ელექტროენერჯის მოხმარება, მლრდ კვტ·სთ	1 სულზე მოხმარება, კვტ·სთ
მსოფლიო	7249	21963	3029,8
აშშ	319,17	4137,1	12962
რუსეთი	143,82	949,59	6602,6
გერმანია	80,98	569,75	7035,7
იაპონია	127,12	995,26	7829,3
საფრანგეთი	66,17	460,2	6954,8
ლატვია	1,99	6,9	3460
ლიტვა	2,93	11,21	3820
უკრაინა	45,38	154,77	3410
საქართველო	4,5	10,02	2226,6
აზერბაიჯანი	9,54	21,0	2201
სომხეთი	3,01	5,71	1897

სამომავლო ელექტრობალანსის ფორმირების მთავარი განმსაზღვრელი პირობაა ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, რომელიც თავის მხრივ, მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულია. მათ შორის მთავარია ელექტროენერჯეტიკისა და ეკონომიკის განვითარების მასშტაბები. ორივე მათგანის პერსპექტიულ მდგომარეობას კი ფაქტორთა უზარმაზარი რაოდენობა განსაზღვრავს, კერძოდ, ელექტროენერჯის წარმოების წყაროები (hydropower, thermal power, renewable power და ა.შ.), მათი განლაგება, ენერჯმენეჯმენტი, ენერჯის ტრანსპორტირება, დანაკარგები, ექსპორტი, იმპორტი, ენერჯის განაწილება, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, რეგიონული თავისებურებები, კლიმატი, გარემოს დაცვა, ენერჯოტეკვალობა, მოსახლეობის სტრუქტურა, ცხოვრების წესი და ტრადიციები და ბევრი სხვა (Chomakhidze D. 2017).

ელექტრობალანსის ფორმირება წარმოადგენს ლოკალური თუ გლობალური პოლიტიკის დაგეგმვის საუკეთესო საშუალებას. იგი დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორცაა კლიმატის ცვლილებები და ენერჯეტიკული უსაფრთხოება. ელექტროენერჯის ბალანსის შემოსავლითი ნაწილი დიდადაა დამოკიდებული ელექტროენერჯეტიკული სტრატეგიის ძირითად ამოცანებზე და პრიორიტეტებზე. ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის საფუძველი არის უსაფრთხო, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერჯომომარაგება. სამომავლო ელექტრობალანსის სისტემური ანალიზის ჩატარება მოითხოვს:

1. განისაზღვროს ენერჯობაზრის მამოძრავებელი ძალები;
2. გაანალიზდეს სხვადასხვა ალტერნატივები;
3. დაისახოს სასურველი ენერჯოსცენარი;
4. მომზადდეს სტრატეგიული რეკომენდაციები ამ სცენარის განხორციელებისათვის.

ენერჯიაშემცველებზე მოთხოვნა-მიწოდების მამოძრავებელ ძალებს მიეკუთვნება: ეკონომიკური ზრდის ტემპი; ენერჯის წარმოებისა და მოხმარების ცვლილებები; მოთხოვნები ინვესტიციებზე; ალტერნატიული ენერჯოწყაროების განვითარება და სხვა. ენერჯეტიკული პოტენციალის გამოყენება და კერძოდ, ენერჯის წარმოებისა და მოხმარების დონე მოსახლეობის ერთ სულზე, როგორც სამოგადობრივი პროგრესის საფუძველი, საყოველთაოდ აღიარებულია ყველა ქვეყნის განვითარების დონის ერთ-ერთ უტყუარ მაჩვენებლად. ექსპერტთა შეფასებით, ენერჯომომარაგების დონე და დინამიკა ისეთივე ობიექტური პარამეტრია ეკონომიკის განვითარების დასახასიათებლად, როგორც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი.

აღნიშნულ მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს

ცხრილი 4. საქართველოს ელექტროენერჯის საპროგნოზო ბალანსი 2018–2029 წლებში, მლრდ კვტ·სთ.

წლები	გენერაცია	მათ შორის			მოხმარება	ექსპორტი
		ჰესები	თესები	ქარის სადგური		
2018	13,34	11,13	2,12	0,093	13,00	0,34
2019	14,47	11,85	2,53	0,093	13,65	0,82
2020	15,95	12,46	3,40	0,093	14,33	1,62
2021	18,03	15,10	2,84	0,093	15,05	2,98
2022	20,35	17,91	2,34	0,093	15,80	4,55
2023	22,89	20,36	2,43	0,093	16,59	6,30
2024	23,20	20,56	2,55	0,093	17,42	5,79
2025	26,34	23,63	2,61	0,093	18,29	8,05
2026	27,82	24,63	3,09	0,093	19,21	8,61
2027	29,57	26,28	3,20	0,093	20,17	9,41
2028	29,92	26,62	3,20	0,093	21,17	8,74
2029	32,26	28,97	3,20	0,093	22,23	10,03

ველოს ელექტროსისტემის“ მიერ შემუშავებულია ქვეყნის საპროგნოზო ბალანსი მომავალი ათი წლისთვის (ცხრილი 4), (საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. 2018).

მდიდარი ჰიდროენერჯორესურსების ათვისება საქართველოს საშუალებას აძლევს არამარტო დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპორტზეც გაიტანოს.

დასკვნა

ელექტრობალანსი საქართველოს ენერჯეტიკული ბალანსის მთავარი შემადგენელი ნაწილია. მასში კონცენტრირებულიადაა ასახული ქვეყანაში საწარმოო ძალთა განვითარების დონე, მისი შესაძლებლობების გამოყენება და ძლიერება, ელექტროენერჯის წარმოება-მოხმარების დონე. იგი, გარკვეულწილად, ამავე დროს მოსახლეობის ცხოვრების დონის, მთელი ქვეყნის სოციალური განვითარებისა და უსაფრთხოების მაჩვენებელიცაა.

ელექტრობალანსი საქართველოში ტრადიციულად, მათ შორის დამოუკიდებლობის პირველ წლებში, დეფიციტური იყო. ბოლო წლებში ამ მიმართულებით დადებითი ძვრები შეინიშნება, თუმცა სახეზეა მთელი რიგი გამოწვევები. საქართველო ელექტრიფიკაციის მაჩვენებლებით კვლავ ჩამორჩება მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ პარამეტრებს; მაღალია პროდუქციის ელექტროტეკვალობის დონე, რომლის შემცირება მნიშვნელოვანი რეზერვია ბალანსის სრულყოფისათვის, ქვეყანაში კარგი პირობებია გა-

ნახლებადი ენერგეტიკული რესურსების (ჰიდრო, მშე, ბელთა ელექტროენერჯის მოხმარების სფეროში მოწინავე ქარი) ათვისებისათვის; ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა ელექტროტევადობის პოტენციალის გამოყენება კი 12%-ის ფარგლებშია. აუცილედ- შემცირების მიზნით და ა.შ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი თ., ჩომახიძე დ. (2011). საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება. თბილისი, „უნივერსალი“ [Gvelesiani T., Chomakhidze D. (2011). Georgia's energy security. Tbilisi, «Universali». In Georgian].
2. ესკო წლიური ანგარიში. (2015–2017). თბილისი.
3. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. (2018). თბილისი. [Georgian State Electro system Transmission network development ten year plan. (2018). Tbilisi. In Georgian].
4. საქსტატი საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი. (2013–2017). თბილისი [Geostat Georgia's Energy Balance (2013-2017). Tbilisi. In Georgian].
5. სემეკის წლიური ანგარიშები. (2005–2017). თბილისი [Annual Reports of GNERC. (2005-2017). Tbilisi. In Georgian].
6. ჩომახიძე დ. (2012). ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ [Chomakhidze D. (2012). Principles of regulating sustainable development of energy. Tbilisi, «Technical University». In Georgian].
7. ჩომახიძე დ. (2014). საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია. თბილისი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“ [Chomakhidze D. (2014). Georgia Energy: Economics, Regulation, Terminology. Tbilisi, «Technical University». In Georgian].
8. Chomakhidze D. Tskhakaia K., others. Electricity balance of Georgia: trends and prospects, Energy Procedia (2018) pp. 581-587. DOI: 10.1016/j.egypro.2018.07.074.
9. Chomakhidze D., Shengelia G. (2017). Energy Complex of Georgia. Lap, Lambert Academic Publishing.
10. Key World Energy Statistics. (2016).

JEL Classification: L690; N7; Q4

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

THE TRENDS OF DRAWING UP THE ELECTRICITY BALANCE OF GEORGIA

DEMUR CHOMAKHIDZE**Doctor of Economics, Professor**

Georgian Technical University

Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia

demurchomakhidze@yahoo.com

KETEVAN TSKHAKAIA**Candidat of Technical Science, Associate Professor**

Akaki Tsereteli State University, Georgia

ketevan.tskhakaia@gmail.com

KEYWORDS: BALANCE, ELECTRICITY, EXPORT-IMPORT, POWER PLANTS, THERMAL PLANTS.

For citation: Chomakhidze D., Tskhakaia K. (2019), The Trends Of Drawing Up The Electricity Balance Of Georgia, *Globalization And Business*, №7, pp. 117-122. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.014>

SUMMARY

The paper dwells on the analysis of electricity balance of Georgia in the years of 2005-2017 in accordance with the parameters such as electricity generation-consumption and exports-imports. Significant attention was paid to the structural development of electricity generation and consumption. The paper also addresses the issues of exports-imports with neighboring countries. Electricity exports and imports in Georgia is characterized by changing dynamics. Over the past 17 years, imports have grown by 39,3%. It has been highlighted that the electricity balance in the years of

2016-2017 differs substantially from the electricity balance of previous years that is due to the operation of wind power plant, which just in 2017 generated 87,8 million kWh, representing 1% of generated electricity.

The paper highlights that the level of electric intensity of production in Georgia is still high, the reduction of which is considerable room for improvement in the electricity balance; there is need for development of renewable energy resources (hydro, solar, wind), placing greater reliance on advanced technologies in the field of electricity consumption and so on.

JEL Classification: L26, L53

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.015>

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და საშუალო ფენის ფორმირება საქართველოში

ამირან მაღლაკელიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
maglachelidze.amirani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, საშუალო ფენა, შემოსავლების უთანაბრობა, სიღარიბე.

ციტირებისთვის: მაღლაკელიძე ა. (2019), მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და საშუალო ფენის ფორმირება საქართველოში, *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №7, გვ. 123-129. <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.015>

სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა წარმოდგენილია მაღალგანვითარებული სამეწარმეო საქმიანობის გარეშე. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შეუქცევადი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში, მეწარმეობა ცენტრალურ როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, იმისთვის, რომ ქვეყანაში წარმოიშვას მძლავრი საშუალო ფენა, რომლის გარეშეც, ეკონომიკის მდგრად განვითარებას პერსპექტივა ნაკლებად გააჩნია. სწორედ აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა იზრუნოს ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, მცირე და საშუალო მეწარმეობისა და დამწყებ მეწარმეთა მხარდაჭერისთვის.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების აუცილებლობის კონსტანტირება, საშუალო ფენის ფორმირების შესაძლებლობების წარმოჩენა, ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტების შეთავაზება სახელმწიფოსათვის.

მოცემული კვლევის საგანია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და საშუალო ფენის ფორმირების პროცესში წარმოშობილი პრობლემები. ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს საშუალო ფენა, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მათი განვითარების სტატისტიკა.

კვლევის პროცესში გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის, სტატისტიკური, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. გამოყენებულ მონაცემთა ბაზას წარმო-

ადგენს: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები. აგრეთვე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და სტატისტიკურ პუბლიკაციებში გამოქვეყნებული ნაშრომები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მიზანმიმართული განვითარება, უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდისათვის. აღნიშნული მიმართულებით, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზაციის შედეგად, მიიღწევა დასაქმებულთა რიცხვის ზრდა, სამამულო სამეწარმეო შესაძლებლობების გაუმჯობესება, გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, როგორც შიგა, ისე საერთაშორისო ბაზრებზე და მოსახლეობის კეთილდღეობის საერთო დონის ზრდა.

ამ თვალსაზრისით, დღეისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამეწარმეო საქმიანობის ინოვაციური ასპექტი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირება და მისი ეფექტიანობა. განვითარების მთავარ ფაქტორს ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს. (ბედიანაშვილი, 2017:10)

ქვეყანაში „სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველსაყოფად, მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სამეწარმეო აზროვნების, განწყობის და ამ მიმართულებით იდეების მიწოდების სტიმულირებისაკენ. აქ იგულისხმება ეკონომიკაში სამეწარმეო აზროვნების ამაღლება, მომავალში რისკისადმი მზად-

ყოფნის მქონე ინდივიდთა რიცხოვნობის გაზრდა. განვითარებულმა ქვეყნებმა სამეწარმეო აზროვნების ამაღლებით გაზარდეს ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკის ეს მიმართულება მნიშვნელოვანი ეკონომიკის ზრდისათვის¹. (ერქომაიშვილი, 2019: 33)

მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების პრიორიტეტები საქართველოში

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო ხელსაყრელი სამეწარმეო გარემოს ფორმირება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ეკონომიკის ლიბერალიზაციის, საგადასახადო კანონმდებლობის დახვეწის, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების და გარკვეული ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის მეტნაკლებად სტაბილური ტრენდი.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიაში 2016-2020 წლებისთვის ნათქვამია, რომ „საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, მისი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო მეწარმეობის ზრდას და განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევას“. ამავე სტრატეგიის მიხედვით, საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები: 1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; 3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უზარებლის განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; 4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო მეწარმეობის ინტერნაციონალიზაცია; 5. ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა.

წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის, საჭიროა, მცირე და საშუალო მეწარმეობის ცნებების დეფინირება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით, 2017 წლიდან მოქმედებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ზომის შემდეგი განსაზღვრება:

- **მცირე მეწარმეობა** – დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს;

- **საშუალო მეწარმეობა** – დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 კაცამდე, ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე.

ამასთანავე, საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსაზღვრული და განმარტებულია მცირე და მიკრო ბიზნესის კრიტერიუმები. აღნიშნული განმარტებები გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოდებულ იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური (პრეფერენციული) დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, **მცირე ბიზნესის სტატუსი** ენიჭება მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 ათას ლარს. ხოლო, **მიკრო ბიზნესის სტატუსი** შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი, კალენდარული წლის განმავლობაში, არ აღემატება 30 ათას ლარს.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და ახალი კონკურენტული ინდუსტრიების შექმნისათვის, ასევე, არსებულის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა 2014 წლიდან ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას **„აწარმოე საქართველოში“**. იგი ითვალისწინებს ინდუსტრიული და სოფლის მეურნეობის მიმართულებით მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერას, ახალი მეწარმეობის შექმნის, არსებულის გაფართოების, გადაიარაღების ხელშეწყობას და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდას ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით.¹

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ამჟამად ხორციელდება 3 სახელმწიფო სააგენტოს მიერ: სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს შემდეგ პროგრამებს²:

¹ საქართველოს მთავრობა. (2016) საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი. გვ.16

² www.enterprisegeorgia.gov.ge წვდომის თარიღი: 19/05/2019

- **ინდუსტრიული მიმართულების კომპონენტი** – გულისხმობს, ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოება/გადაიარაღებას;

- **სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი** – მიმართულია, ახალი სასტუმროების შექმნის, არსებული სასტუმროების გაფართოების საკენ;

- **მიკრო და მცირე ბიზნისის მხარდაჭერი კომპონენტი** – უზრუნველყოფს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით;

- **პროგრამა „გადაიღე საქართველოში“** – რომელიც კინოწარმოებით დაინტერესებულ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროდიუსერებს აძლევს შესაძლებლობას საქართველოში გადაიღონ ფილმი თუ სხვა სახის აუდიო/ვიზუალური პროდუქცია და კვალიფიციური ხარჯების 20-25%-მდე უკან დაიბრუნონ;


- **საგრანტო პროგრამა „აწარმოე უკეთესი მომავლისთვის“** – ითვალისწინებს, გამყოფი ხაზების (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი) ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ერთობლივი წარმოებისა და პარტნიორული პროექტების მხარდაჭერას (ემატება 2019 წლიდან);

- **საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი** – გულისხმობს, ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საკრედიტო გარანტიის გაცემას, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები (ემატება 2019 წლიდან).

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, „შედავათიანი აგროკრედიტის პროექტით“ გასცემს სესხებს შემდეგი მიზნობრიობით: 1. პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება; 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება; 3. ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება (საწყობები, საშრობები, სამაცივრე მეურნეობები).

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებით.

2019 წლის მაისის თვის მონაცემებით, „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, სულ 2014 წლიდან



დიაგრამა: მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა და წილი ბიზნის სექტორში დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში, 2013-2018 წლებში*.

მხარდაჭერილია 489 პროექტი (მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის, სასტუმროს და ქონების მიმართულებებს), რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა 1,15 მლრდ. ლარზე მეტია. საიდანაც, კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში 619 მლნ. ლარზე მეტია. აღნიშნული პროექტებით სულ შეიქმნება 17 440-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.³

საინტერესოა, თვალი გადავავლოთ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების უკანასკნელი წლების სტატისტიკას. 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში რეგისტრირებული აქტიური კომერციული იურიდიული პირების რაოდენობა 85989-ს შეადგენდა, საიდანაც 78325 იყო მცირე, ხოლო 1848 – საშუალო ზომის საწარმო. შესაბამისად, მოქმედი საწარმოების 93,2% (მცირე – 91,1%, საშუალო – 2,1%) მცირე და საშუალო საწარმოებს უკავია⁴. 2013-2017 წლებში, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 27,4%-ით, 372,463 კაციდან 474,575 კაცამდე. 2018 წლის IV კვარტლის წინასწარი მონაცემებით კი, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში სულ დასაქმებული იყო 436,651 კაცი, რაც მთლიანად ბიზნის სექტორში დასაქმებულთა 63,8%-ია (დეტალურად იხ. დიაგრამა).

2013-2017 წლების განმავლობაში, მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 53,7%-ით გაიზარდა – 25,7 მლრდ. ლარიდან 39,5 მლრდ. ლარამდე. ამავე პერიოდში,

³ წყარო: www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/სიახლეები/პროგრამის-აწარმოე-საქართველოში-9-წვდომის-თარიღი: 05/06/2019

⁴ მსხვილი საწარმოების რაოდენობაა - 403 (0,5%), ხოლო 5413 (6,3%) საწარმოს ზომა უცნობია. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

* მონაცემები დათვლილია ახალი, 2017 წლის შემდეგ მოქმედი მეთოდოლოგიით.

წყარო: www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva-წვდომის-თარიღი: 19/05/2019

პროდუქციის გამოშვება 71,2%-ით გაიზარდა - 13,2 მლრდ. ლარიდან 22,6 მლრდ. ლარამდე. ხოლო მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულება კი გაიზარდა 72%-ით, 6,8 მლრდ. ლარიდან 11,7 მლრდ. ლარამდე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თბილისზე მოდის ბრუნვის (62,6%, 2017წ.), პროდუქციის გამოშვებისა (60,9%, 2017წ.) და დამატებული ღირებულების (57,5%, 2017წ.) უმსხვილესი წილი. 2018 წლის წინასწარი მონაცემებით მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვამ შეადგინა 45,3 მლრდ. ლარი, ხოლო პროდუქციის გამოშვებამ - 24,2 მლრდ. ლარი⁵.

ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ მიღწეული ზრდის ტემპი პოზიტიურია, თუმცა - არასაკმარისი. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის წინასწარი მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის კლება დაფიქსირებულია. ამასთანავე, აუცილებელია, ეკონომიკური აქტიურობის დეცენტრალიზაცია და რეგიონების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

საშუალო ფენის ფორმირების გამოწვევები საქართველოში

ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი და მრავალრიცხოვანი საშუალო ფენის არსებობა. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს პროგრესისა და მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობის განმაპირობებელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

საშუალო ფენასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ „რაც უფრო დიდია საშუალო კლასი, ანუ მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული სოციალური ფენა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოება“. აღნიშნული დებულების მართებულობა განსაკუთრებით ცხადად წარმოჩენილია თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც საშუალო ფენა ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ყოველივე ეს გამოიხატება იმაში, რომ „**ჯერ ერთი**, საშუალო კლასი მისწრაფვის ადამიანური კაპიტალისა და დანაზოგების დაგროვებისკენ; **მეორე**, იგი წარმოშობს კრეატიულ ადამიანებს, რომლებიც აჩქარებენ ინოვაციებს და აღვივებენ ეკონომიკურ აქტივობას; **მესამე**, საშუალო კლასის სამომხმარებლო შესაძლებლობები ხელს უწყობს ბაზრების დივერსიფიკაციას და გაფართოებას, რაც, თავის მხრივ, მასშტაბის ეკონომიის გამოყენების საშუალებას იძლევა;

და მეოთხე, საშუალო კლასს შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მმართველობის გაუმჯობესებაში: ღარიბებთან შედარებით, მას შესწევს ძალა და უნარი მოითხოვოს უკეთესი სახელმწიფო მომსახურება, საჯარო მოხელეთა უფრო მეტი ანგარიშვალდებულება და მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ პოლიტიკას“. (კაკულია... 2018: 5)

ამასთანავე, „საშუალო ფენა ის „ფილტრია“, რომელიც არეგულირებს მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობებს და ორივე ფენისთვის ორიენტირსაც წარმოადგენს. საშუალო ფენის ასეთი როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე პირობებში, როცა საქართველოში სოციალური პოლარიზაციის ფონზე საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წინააღმდეგობა „ახალი მდიდრებისა“ და „ახალი ღარიბების“ პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადადის“. (ჭითანავა, 2018: 106)

საშუალო ფენის განსაზღვრისა და რაოდენობრივი შეფასებისთვის აუცილებელია გამოვიყენოთ გარკვეულ კრიტერიუმთა ერთობლიობა, რომელიც დიდი სიზუსტით ასახავს სოციუმის კონკრეტული ჯგუფის ამ ფენისადმი მიკუთვნებისთვის საჭირო ოპტიმალურ პირობებს.

საშუალო ფენის იდენტიფიკაციისთვის მიზანშეწონილია სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენება, ხოლო შემდეგ მათი სტატისტიკური თანაკვეთის განსაზღვრა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება საზოგადოების ამ ფენის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების საფუძვლიანი შეფასება. ზემოაღნიშნული მიზნისათვის საჭიროა გამოიყოს შემდეგი **კრიტერიუმები** (კაკულია... 2018: 13-14):

- შემოსავლების/სამომხმარებლო ხარჯების კრიტერიუმი;
- დასაქმების პროფილი;
- განათლების დონე;
- შინამეურნეობათა ქონება;
- ხანგრძლივი მოხმარების საგნების ფლობა;
- კომუნალური მომსახურების საბაზისო სახეობებზე წვდომა;
- ხარისხიან სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა;
- დასვენების შესაძლებლობა;
- შინამეურნეო თვითაღქმა.

საქართველოში საშუალო ფენის ფორმირების თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობაა, რასაც ნათელს ხდის საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების შედეგები. ასე მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ, 2016 წელს გამოქვეყნებულ, მათივე მეთოდოლოგიით განხორციელებულ კვლევაში აღნიშნულია, რომ 2014 წელს საქართ-

⁵ წყარო: www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmotastatistikuri-gamokvleva წვდომის თარიღი: 21/05/2019

ველოში საშუალო ფენას მოსახლეობის მხოლოდ 7% განეკუთვნებოდა. მაშინ, როდესაც აშშ-სა და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საშუალო ფენას მოსახლეობის 50%-ზე მეტი შეადგენს (Kochhar, 2017).

2018 წელს საქართველოში ჩატარებული ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევის მიხედვით, ზემოთ აწ უკვე ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, 2016 წელს საშუალო ფენას მიკუთვნებული მოსახლეობის წილი 16%-ს შეადგენდა. 2017 წლისთვის კი, იგივე კვლევის მიხედვით, ოღონდ დასაქმების ფაქტორის გამორიცხვით, 24,6%-მდე გაიზარდა (კაკულია... 2018: 56, 58). ბოლო მონაცემი, ვფიქრობ, რეალობას დაშორებულია, რასაც ბუნებრივს ხდის საშუალო ფენის მეტად მნიშვნელოვანი დეტერმინანტის - დასაქმების უგულებელყოფა.

საშუალო ფენის ფორმირებაზე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს დღესდღეობით ქვეყანაში არსებული, **შემოსავლების უთანაბრობის** და სიღარიბის მაღალი დონე. შემოსავლების უთანაბრობის გაანგარიშება ხდება ჯინის კოეფიციენტის მეშვეობით, რომელიც 0-სა და 1-ს შორის მერყეობს. რაც უფრო ახლოს არის აღნიშნული კოეფიციენტი ნულთან, მით უფრო მცირეა უთანაბრობა სოციალურ ფენებს შორის, ხოლო ერთისკენ მიმართული ტენდენცია უთანასწორობის გაღრმავებაზე მიუთითებს. 2018 წელს, საქართველოში ჯინის კოეფიციენტი მთლიანი შემოსავლების მიხედვით - 0,39-ს შეადგენდა, მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით - 0,37-ს, ხოლო ყველაზე უთანასწორო განაწილება მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით დაფიქსირდა - 0,44. კოეფიციენტის აღნიშნული სიდიდეები მიუთითებს სოციუმის ფენებს შორის ერთობ შესამჩნევ უთანაბრობაზე. რაც შეეხება **სიღარიბის დონეს**, 2018 წელს ქვეყანაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა მოსახლეობის მეხუთედმეტი - 20,1%.

დასკვნა

ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებისათვის, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. საქართველოს მთავრობამ, ეკონომიკური განვითარების რაციონალური პოლიტიკის მიზანმიმართული განხორციელებით, უნდა აღმოფხვრას დღეისათვის ქვეყნის სამეწარმეო სექტორის წინაშე მდგარი

პრობლემები. აუცილებელია, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რათა სიღარიბეში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკის აღმშენებლობაში და შესაბამისად, საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. დღეს საქართველო, აღნიშნული მიმართულებით, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, მაშინ, როდესაც საშუალო ფენის მოცულობა ჯერ კიდევ, საგანგაშოდ დაბალია, ხოლო შემოსავლების უთანაბრობის და სიღარიბის დონე კრიტიკულად მაღალი.

მოცემული სიტუაციის რეგულაციური გააზრებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მიერ, საშუალო ფენის ფორმირებისთვის, ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ამოცანა უნდა გახდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის პრიორიტეტული განვითარება. ამისათვის, სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებელია რიგი ღონისძიებები: პირველი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მიზნით შექმნილი სახელმწიფო პროგრამების არეალის გაფართოება და მეტი მასშტაბურობის მიღწევა. განსაკუთრებით, რეგიონების განვითარების კუთხით აქცენტირება. ახალი, საქართველოს რეგიონულ და კულტურულ თავისებურებებზე ადაპტირებული პროგრამების ინიცირება; მეორე, მეწარმეობის დაწყების, სტარტაპების განვითარების, ინოვაციებსა და მოწინავე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობა; მესამე, სამეწარმეო მიმართულებით, განათლების რეგულარული პროგრამების შემუშავება დაწყებული მეწარმეობისთვის და ნებისმიერი დანტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს ადეკვატური პროგრესული ცოდნის გადაცემას; მეოთხე, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთი სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირებას, რომელიც ხელს შეუწყობს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების გაფართოებას; მეხუთე, უმნიშვნელოვანესია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, უსაფრთხო სამეწარმეო გარემო, რაც შექმნის მყარ საფუძველს ინვესტიციების შეუქცევადი შემოდინებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების წარმატებით ჩატარების შემდეგ, მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების კვალდაკვალ, საქართველოში საგრძნობლად შემცირდება სიღარიბე, მოიმატებს საშუალო ფენას მიკუთვნებულ ადამიანთა რიცხვი და საგრძნობლად ამაღლდება კეთილდღეობის საერთო დონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბედიაშვილი, გ. (2017) ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N3. გვ.10-16 [Bedianashvili, G. (2017) Formation of Knowledge Economy and Innovative Entrepreneurial Policy: Institutional Aspects. Journal “Globalization and Business”, N3 P.10-16]
2. ერქომაიშვილი, გ. (2019) რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა – ბიზნესმეწარმეობიდან სოციალური მეწარმეობისაკენ მამოძრავებელი ძალა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“. [Erkomaishvili, G. (2019) Rational Economic Policy – Driving force from business to social entrepreneurship. Publishing House “UNIVERSAL”, Tbilisi]
3. კაკულია, მ., კაპანაძე ნ. (2018) საშუალო კლასი საქართველოში: რაოდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი. თბილისი, ფრიდრიხ ებერტის ფონდი. [Kakulia, M., Kapanadze N. (2018) Middle Class in Georgia: Quantitative Evaluation, Dynamics and Profile. Friedrich Ebert Foundation, Tbilisi]
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018) მეწარმეობა საქართველოში – სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი. [National Statistics Office of Georgia. (2018) Entrepreneurship in Georgia – Statistical Publication. Tbilisi]
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2010) თბილისი. [Georgian Tax Code. (2010) Tbilisi]
6. საქართველოს მთავრობა. (2016) საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის. თბილისი.[Government of Georgia. (2016) Georgia’s Small and Medium Entrepreneurship Development Strategy for 2016-2020. Tbilisi]
7. ჭითანავა, ნ. (2018) საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბილისი, გამომცემლობა „ივერიონი“. [Chitanava, N. (2018) Challenges and Strategy of the Economy of Georgia. Publishing House “IVERIONI”, Tbilisi]
8. Kochhar, Rakesh (2017) Middle Class Fortunes in Western Europe. Luxembourg Income Study (LIS), asbl. <https://www.econstor.eu/bitstream/10419/169262/1/702.pdf>
9. Pew Research Center (2015) The American Middle Class Is Losing Ground. <https://www.pewsocialtrends.org/2015/12/09/the-american-middle-class-is-losing-ground>
10. World Bank Group, GEORGIA: RECENT TRENDS AND DRIVERS OF POVERTY REDUCTION. August 17 2016. <http://pubdocs.worldbank.org/en/980951472223098077/Georgia-PPA-FY16-presentation-AUG2016-final.pdf>
11. www.geostat.ge
12. www.enterprisegeorgia.gov.ge
13. www.apma.ge
14. www.nasp.gov.ge

JEL Classification: L26, L53

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.015>

DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM ENTREPRENEURSHIP AND FORMATION OF A MIDDLE CLASS IN GEORGIA

AMIRANI MAGLAKELIDZE**PhD Student**Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
maglakelidze.amirani@gmail.com**KEYWORDS:** DEVELOPMENT OF SMALL AND MEDIUM ENTREPRENEURSHIP; MIDDLE CLASS; INCOME INEQUALITY; POVERTY.**For citation:** Maglakelidze A., (2019), Development Of Small And Medium Entrepreneurship And Formation Of A Middle Class In Georgia, *Globalization And Business*, №7, pp. 123-129. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.015>

SUMMARY

Formation of a strong middle class in Georgia requires a development of small and medium entrepreneurship. As a result of implementation of a rational economic policy and realization of the knowledge and technology based approach in this field, increasing the number of employment, improvement of the national enterprise possibilities, enhancing the competitiveness of the production and growth of the overall level of prosperity of population could be achieved. Small and medium enterprises have been growing during the recent years, however, the growth rate is not sufficient.

Share of the population belonging to the middle class is still low in Georgia. According to the studies conducted by the World Bank, in 2014 only 7% of the population of Georgia belonged to the middle class. According to the economic-statistical study conducted in Georgia in 2018, share of the population belonging to the middle class in 2016 was 16%. The

same study, with exclusion of the employment factor, shows the growth of the above-mentioned share to 24,6%. Ignoring the employment – very important determinant of the middle class – naturally puts the last figure far from reality. Current income inequality and high level of poverty negatively impact formation of the middle class in the country.

In order to achieve the growth of the small and medium entrepreneurship, and respectively, growth of the middle class share, the following actions should be taken by the Government of Georgia: Increase of the scale of small and medium entrepreneurship programs, maximally inclusion of the regions; Support of the start-ups, formation of innovative economy; Promotion of the entrepreneurial education, formation of the corresponding environmental system for the export oriented industries; Maintaining political and economic stability.

JEL Classification: C01; J10

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.016>

STUDY OF THE DISTRIBUTION OF WEALTH IN THE MIDDLE AND TOP SEGMENTS OF THE POPULATION OF GEORGIA

QETEVAN PIPIA

Phd student

Samtskhe-Javakheti State University, Georgia
qetino.pipia@gmail.com

KEYWORDS: PARETO DISTRIBUTION, LOGNORMAL DISTRIBUTION, MODELS OF ECONOMICAL LAYERS OF SOCIETY.

For citation: Pipia Q. (2019), Study Of The Distribution Of Wealth In The Middle And Top Segments Of The Population Of The Population Of Georgia, *Globalization And Business*, №7, pp. 130-142. <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.016>

ეკო ქალაქი თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევა, სადაც შესაძლებელია ჯანსაღი გარემოს შექმნა და ადამიანის თანაცხოვრება ფლორასა და ფაუნასთან თანწყობაში. დღევანდელმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა აშენდეს ეკო ქალაქი ბუნებასთან სრულ თანწყობაში, რაც იძლევა მოქნილი საცხოვრებელი კომპლექსის შექმნის პერსპექტივასა და ადამიანთა ჯანსაღ, სუფთა და ჟანგბადით გამდიდრებულ ადგილას ცხოვრებისთვის ხელშეწყობას.

კვლევის მიზანია გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის გაუარესებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა საქართველოში. კვლევის ამოცანებია გარემოსა და ჯანმრთელობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით მსოფლიოსა და საქართველოში არსებული მიდგომების მიმოხილვა, გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული გამოწვევის პრობლემების დადგენა და მისი აღმოფხვრის გზების განსაზღვრა, ურბანიზაციული საცხოვრებელი ქალაქის კონცეპტუალურ ესკიზური პროექტის შემუშავება, რომელშიც ადამიანის ყოველდღიური საქმიანობების წარმოება დაბალანსებული იქნება ბუნებასთან ჰარმონიული და ეკო, მეგობრული ინსტრუმენტებით მხარდაჭერილი.

მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 2 რაოდენობრივი კვლევა. პირველი რაოდენობრივი კვლევა ითვალისწინებდა არაალბათური შერჩევის მეთოდით ქ. თბილისისა და ვახეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რესპოდენტთა გამოკითხვას წინასწარ სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევის შედეგად შეგროვდა 626 რესპოდენტის პასუხი.

მეორე რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა რესპოდენტების ონლაინ გამოკითხვა. მიზნობრივ სემინტად განისაზღვრა, სოციალური ქსელებში ეკო ცხოვრებით დაინტერესებული ადამიანები. შეგროვდა 512 რესპოდენტის მიერ შევსებული ანკეტი. ამ მეთოდმა საშუალება მოგვცა გამოგვეკითხა რესპოდენტები საქართველოს ნებისმიერი მუნიციპალიტეტიდან.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ექსპერტის სიდრმისეული გამოკითხვა ფოკუს ჯგუფის მეთოდით. კვლევის პროცესის ჩაწერა მოხდა, აუდიო-ვიდეო ფორმატის მეშვეობით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ტრანსკრიპტის უხარვეზოდ დამუშავება-წარმოდგენა.

კვლევის ყველა ეტაპზე დაცული იყო კონფიდენციალურობა, ანონიმურობა. კვლევა მიმდინარეობდა 2019 წლის მარტი-ივნისის თვეებში.

შედეგები

პირველი რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოკითხულთა 62.1% (n=389) შეადგენდა მდებარეობით სქესის წარმომადგენელს. ყველაზე მეტი ანკეტი 20-29 წლის ადამიანმა შეავსო 44.4% (n=278). საშუალო ასაკი შეადგენს 25 წელს (± 5). რესპოდენტთა 76.5% (n=478) მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება. რესპოდენტთა 48.4% (n=303) არასდროს ყოფილა დაქორწინებული, 33.3%-ის (n=209) მიხედვით, ოჯახში ხუთი და მეტი წევრი ცხოვრობს, 38.3%-ის (n=240) მიხედვით, ოჯახიდან 2 წევრი მუშაობს, ხოლო 22.7%-თვის (n=142) ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 1001-2000 ლარია.

რესპოდენტთა 42.2%-ის (n=263) აზრით, მათი საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემო ნაკლებად დაბინძურებულია, ხოლო 38.4% (n=241) აზრით, დაბინძურებულია, რომლის გამოწვევი შეიძლება იყოს: ავტომანქანებისა და მშენებლობების დროს გაფრქვეული მავნე მეთალების მტვერი. რესპოდენტთა 72.8% (n=455) ამბობს, რომ რეკრეაციულ ადგილებში გამწვანების ხელყოფის ხარჯზე ხეთა გაკაფვა სხვადასხვა კომერციული მიზნით, საზოგადოებაში რამე სახის დადებით ეფექტს არ იწვევს. ხოლო რესპოდენტთა 93% (n=582) ამბობს, რომ ჰაერის თუ მიწის სავარგულეების დაბინძურება მავნე ნარჩენებით, მათ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს. რესპოდენტთა 71.4% (n=445) ამბობს, რომ გარემოს დაბინძურება იწვევს ფილტვების დაავადებებს, ფსიქიკურ დაავადებებს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს. რესპოდენტთა 43.9% (n=274) აზრით, მათთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრება, ხოლო 28.1% (n=176) მიხედვით, არ არის ხელმისაწვდომი. 37.9% (n=237) აზრით, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებისთვის ხელის შეშლას იწვევს ეკო გარემოში სამსახურების ნაკლებობა. 48.5% (n=304) აზრით, გარემოსათვის მიყენებადი ზიანის შესამცირებლად ისინი შეეცდებოდნენ მაქსიმალურად შევბუდდათ ბუნებრივი საწვავი აირის გამოყენება და მავნე ნარჩენების გაფრქვევა სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებების მიერ. რესპოდენტთა 32.4% (n=202)-ის აზრით, იცხოვრებდა ეკოლოგიურად ადგილას, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში და არ მოახდენდა მის ხელყოფას. გამოკითხულთა 61.9% (n=388) ამბობს, რომ ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას იწვევს დამაბინძურებელი ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო მაღალჩინოსნების მიერ გაწეული ლობირება. რესპოდენტთა 86.9% (n=544) აზრით საზოგადოების მიერ ეკოსისტემის, კლიმატის ცვალებადობისა თუ სხვა ფაქტორებისადმი არასათანადო ყურადღება ზრდის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველ პრობლემებს.

რესპოდენტთა 45.2% (n=282)-ის აზრით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ჯანსაღი ცხოვრების წესი დიდ გავლენას ახდენს, თუმცა ვერ ახერხებენ მის დაცვას. რესპოდენტთა 43.8% (n=273) ზრით, დიდ გავლენას ახდენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა მათ ცხოვრებაზე და ახერხებენ მის დაცვას, კერძოდ მისდევენ ფიტნესს, იცავენ კვებით რაციონს. რესპოდენტთა 84.1% (n=527) აზრით, იცხოვრებდნენ ისეთ ეკო-ინფრასტრუქტურის ქალაქში, სადაც ყველაფერია ბუნებასთან თანწყობასა და ჰარმონიაში (მუდმივი მზის ენერჯის კვლავწარმოებითა და ეკო მეგობრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ადგილას). რესპოდენტთა 45.2% (n=283) აზრით, დღეიდან იზრუნებდნენ, რომ შეეცვალათ საკუთარი ცხოვრების წესი და ყოველდღიური აქტივობები, იმისთვის, რომ მეტად დაცული ყოფილიყვნენ თავის გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან. რესპოდენტთა 46.4% (n=289) აზრით, მომავლის ტექნოლოგიებისადმი დადებითად არიან განწყობილი, ფიქრობენ რომ თანამედროვე მიღწევებს შეუძლია გარემოს პირობების ისე ცვლა, რომ ადამიანის ცხოვრება გახდეს მეტად კომფორტული და პროდუქტიული (ეკოკვლევა, 2019, 1).

მეორე რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, რომლითაც გამოიკითხა 512 რესპოდენტი, 75% (n=384) შეადგენდა მამრობითი სქესის წარმომადგენლები; 36.5% (n=278)-ს 20-30 წლის პირები, რესპოდენტთა საშუალო ასაკი 34 წელია, ± 5 .

რესპოდენტთა უმრავლესობის 40% (n=205) აზრით, ეკოლოგიურად სუფთა საკვები ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიითაა წარმოებული ნებისმიერ ქვეყანაში. 16.6% (n=83) აზრით, საქართველოში დაბინძურებული ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი არის სასმელი წყალი; 63.7% (n=319) აზრით - ქიმიური მეთოდით მოყვანილი აგროპროდუქტები, ხოლო 69.3% (n=347) აზრით - ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერების შემცველობით დამზადებული სხვადასხვა საკვები პროდუქტები (ტკბილეული, კონსერვები, რძის პროდუქტები და სხვ.). რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით (61.1%; n=305), რადგანაც ერთიან სივრცეში არ არის თავმოყრილი ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების (საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო საქონელი და ა.შ) შესახებ ინფორმაცია, მათ უჭირთ ასეთი საქონლის შესყიდვა. 37.3%-ის (n=186) აზრით, ასეთი მოხმარების საგნები ძვირია და ვერ ახერხებენ მათ ყიდვას და მხოლოდ 11%-მა (n=55) აღნიშნა, რომ ადვილად ხელმისაწვდომია ასეთი საქონელი მათთვის. მოხმარებელთა უმრავლესობამ (79%; n=405) დააფიქსირა, რომ ეტიკეტზე არ არის მითითებული სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტის ეკოლოგიურ სიჯანსაღეზე. მოხმარებელთა უმრავლესობა (76.7%; n=393) მხარს უჭერს, რომ ისარგებლებდა ეკო ონლაინ-

მარკეტით, რომელსაც საინფორმაციო-საგანმანათლებლო ხასიათიც ექნებოდა. რესპოდენტთა უმრავლესობა 71.4% (n=366), ამბობს, რომ უჭირს პასუხის გაცემა ეკო-კვლევაში გაწევიანებასთან დაკავშირებით, რომელიც მოხმარებელთა ინფორმირებულობასა და მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. რესპოდენტთა უმრავლესობა (64.4%; n=330) ასევე ამბობს, რომ მიიღებდა მონაწილეობას ეკოპროდუქტების გამოფენა-გაყიდვაში, როგორც მოხმარებელი, ხოლო 12.8% (n=66) მიიღებდა მონაწილეობას, როგორც მწარმოებელი. რესპოდენტების უმრავლესობამ (73.4%, n=367) აღნიშნა, რომ ყველაზე მეტად აწუხებთ არაჯანსაღი პირველადი მოხმარების საგნებით (საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი გარემო) და ამავე პირობებით გამოწვეული დაავადებების სისშირე, ხოლო 21.4%-მა (n=107) - პროდუქტის არასრულყოფილი ეტიკეტირება. რესპოდენტთა შედარებით მცირე ნაწილი (13.4%, n=67) ამბობს, რომ დიეტისა და სამკურნალო კვების დაცვა არაჯანსაღი პროდუქტებით გაჯერებულ ბაზარზე ძნელია (ეკოკვლევა, 2019, 2).

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შემდეგი შედეგები მივიღეთ:

რესპოდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ დაბინძურებულია მათი საცხოვრებელი ადგილი, მდგომარეობა ძალიან მძიმეა და გამოსავლის ძიება საკმაოდ რთულია. რადგან უკვე აშენებულ კორპუსებში, ერთეულ ტერიტორიაზე მოსახლეობა აჭარბებს რეკომენდირებულ რიცხვს, რაც არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს თითოეულ მცხოვრებს, რადგან შეზღუდულია პარკინგი, გადაადგილება და სხვა.

ურბანდაგეგმარებაში ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მწვანე არქიტექტურა. ძალიან აქტუალური და საინტერესო მიმართულებაა მდგრადი განვითარება და თანამედროვე ინფრასტრუქტურის როლი ადამიანის კეთილდღეობაში, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული, თუ რა გარემოში ცხოვრობ და ვითარდები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა: სინგაპური, სამხრეთ კორეა, მაღალია დიდი გამოცდილება დაავროვა თანამედროვე არქიტექტურული კომპლექსების შენებაში და საჭიროა მათი შესწავლა.

საინტერესო ფაქტია, რომ დახურულ სივრცეში ცხოვრება, ადამიანებისთვის ფსიქოლოგიურად უფრო მძიმეა ვიდრე გაშლილ სივრცეში. სწორედ ეს ქმნის იმის მოტივს, რომ მაღალკამპუსებში წარმოდგენილია სხვადასხვა დახურული ბაღი. მზის ულტრაისფერი სხივების ქვეშ ყოფნა ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე, D-ვიტამინის შევსება.

ბოლო წლებში მეცნიერები ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მინის არქიტექტურა არც თუ ისე სასარგებლოა, რადგან

ცხრილი 1: რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები ეკონომიკურასტრუქტურასთან დაკავშირებით

მახასიათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა (n=626)	%
1. სქესი		
1. მდედრობითი	389	62.1
2. მამრობითი	226	36.1
პასუხი არ დააფიქსირა	11	1.8
2. ასაკი		
1. 20-მდე	50	7.9
2. 20-29	278	44.4
3. 30-39	110	17.8
4. 40-49	80	12.8
5. 50-59	44	7
6. 60 და უფროსი	54	8.6
პასუხი არ დააფიქსირა	10	1.5
საშუალო ასაკი	25	(... ± 5)
3. განათლება:		
1. არასრული საშუალო	8	1.3
2. საშუალო სრული ზოგადი	69	11
3. პროფესიული	51	8.3
4. უმაღლესი	479	76.5
5. სხვა (ღია პასუხი)	6	0.9
პასუხი არ დააფიქსირა	13	2
4. ქორწინების მდგომარეობა:		
1. არასდროს ყოფილა დაქორწინებული	303	48.4
2. დაქორწინებული	257	41.2
3. ქვრივი	18	2.9
4. განქორწინებული (განშორებული)	33	5.3
5. სხვა (ღია პასუხი)	1	0.1
პასუხი არ დააფიქსირა	14	2.2
5. რამდენი წევრია თქვენს ოჯახში:		
1. ერთი	22	3.5
2. ორი	53	8.5
3. სამი	135	21.7
4. ოთხი	196	31.3
5. ხუთი და მეტი	209	33.3
პასუხი არ დააფიქსირა	11	1.7
6. თქვენი ოჯახის რამდენი წევრი მუშაობს და აქვს მუდმივი შემოსავალი:		
1. არც ერთი	27	4.3
2. ერთი	207	33
3. ორი	240	38.3
4. სამი	95	15.2
5. ოთხი და მეტი	45	7.3
პასუხი არ დააფიქსირა	12	1.9
7. თქვენი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი შეადგენს:		

1. 100 ლარამდე	10	1.5
2. 100-150	10	1.5
3. 151-500	94	15.7
4. 501-1000	128	20.9
5. 1001-2000	142	22.7
6. 2001-3500	98	15.6
7. 3500-ზე მეტი	81	12
პასუხი არ დააფიქსირა	63	10.1
8. როგორია თქვენი საცხოვრებელი თუ სამუშაო გარემო?		
1. დაბინძურებულია ჰაერი, გამოწვევი კი შეიძლება იყოს: ავტომანქანებისა და მშენებლობების დროს გაფრქვეული მავნე მეთალების მტვერი	241	38.4
2. ნაკლებად დაბინძურებულია	263	42.2
3. არ არის დაბინძურებული	84	13.4
4. სხვა (ღია პასუხი)	12	2
პასუხი არ დააფიქსირა	19	4
9. თქვენი აზრით რეკრეაციულ ადგილებში გამწვანების ხელყოფის ხარჯზე ხეობა გაკაფვა სხვადასხვა კომერციული მიზნით, საზოგადოებაში რამე სახის დადებით ეფექტს იწვევს?		
1. კი	141	22.7
2. არა	455	72.8
3. სხვა (ღია პასუხი)	7	0.9
პასუხი არ დააფიქსირა	23	3.6
10. ჰაერისა თუ მიწის სავარგულების დაბინძურება მავნე ნარჩენებით, ახდენს თუ არა გავლენას თქვენ ჯანმრთელობაზე?		
1. კი	582	93
2. არა	17	2.8
3. სხვა (ღია პასუხი)	8	1.0
პასუხი არ დააფიქსირა	19	3.2
11. თქვენი აზრით, რა დაავადების განვითარების რისკ-ფაქტორს იწვევს გარემოს დაბინძურება?		
1. ფილტვების დაავადებებს	98	15.4
2. ფსიქიკურ დაავადებებს	7	0.9
3. გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს	29	4.8
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი	445	71.4
5. არცერთი მათგანი	7	0.9
6. სხვა (ღია პასუხი)	17	2.7
პასუხი არ დააფიქსირა	23	3.9
12. თქვენთვის ხელმისაწვდომია, მუდმივად ცხოვრობდეთ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში?		
1. დიახ	117	18.9
2. ნაკლებად	274	43.9
3. არა	176	28.1
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	40	6.2
5. არცერთი მათგანი	0	
6. სხვა (ღია პასუხი)	4	0.6
პასუხი არ დააფიქსირა	15	2.3
13. თქვენთვის არსებობს რამე ფაქტორი, რაც იწვევს ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ცხოვრებისთვის ხელის შეშლას?		
1. ეკო გარემოში უფრო მეტად შეიმჩნევა სამსახურების ნაკლებობა	81	12.9

2. ეკო გარემოში, ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებადაა	38	6
3. ასეთი ტერიტორიები თუა, ის არაურბანიზებულია, ხელმისაწვდომი არაა მრავალი პროდუქტი თუ სერვისი	164	26.2
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი	237	37.9
5. არცერთი მათგანი	58	9.3
6. სხვა (დია პასუხი)	8	1.3
პასუხი არ დააფიქსირა	40	6.4
14. რომ შეგეძლოთ, რას გააკეთებდით გარემოსთვის მიყენებადი ზიანის შესამცირებლად?		
1.მაქსიმალურად შევზღუდავდი ბუნებრივი საწვავი წიაღისეულის გამოყენებასა და მავნე ნარჩენების გაფრქვევას სატრანსპორტო თუ სხვა საშუალებებში	304	48.5
2. ვიცხოვრებდი ეკოლოგიურ ადგილას, ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში, არ მოვახდენდი მის ხელყოფას და მექნებოდა ყველაფერი, რაც ცხოვრების მოცემულ დროს დამჭირდებოდა.	202	32.4
3. არც არაფერს, სავსებით მისაღებია ჩემთვის არსებული ცხოვრება	12	1.9
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	60	9.5
5. სხვა (დია პასუხი)	23	3.8
პასუხი არ დააფიქსირა	25	3.9
15. თქვენ აზრით მსოფლიოში, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას, იწვევს თუ არა, დამაბინძურებელი ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო მაღალჩინოსნების მიერ გაწეული ლობირება?		
1. კი	388	61.9
2. არა	21	3.4
3. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	181	28.9
4. სხვა (დია პასუხი)	7	0.9
პასუხი არ დააფიქსირა	29	4.9
16. საზოგადოების მიერ არასათანადო ყურადღება: ეკოსისტემის, კლიმატის ცვალებადობისა თუ სხვა ფაქტორებისადმი, ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრობლემების ზრდას იწვევს?		
1. კი	544	86.9
2. არა	14	2.4
3. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	45	7.1
პასუხი არ დააფიქსირა	23	3.6
17. რამდენად დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე ჯანსაღი ცხოვრების წესი და თუ ხართ დაკავებული ე.წ ფიტნესით, კვებითი რაციონისა და სხვა ურთიერთშემავსებელი კომპონენტების დაცვით?		
1. დიდ გავლენას ახდენს და ვცდილობ მუდმივად ფორმაში ვიყო	273	43.8
2. დიდ გავლენას ახდენს, თუმცა ფორმაში ყოფნას ვერასდროს ვახერხებ	282	45.2
3. საერთოდ არ ახდენს გავლენას	4	0.6
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	40	6.4
5. სხვა (დია პასუხი)	8	1.0
პასუხი არ დააფიქსირა	19	3.0
18. რომ არსებობდეს ისეთი ეკო-ინფრასტრუქტურის ქალაქი, სადაც ყველაფერია, რაც გსურთ, იცხოვრებდით თუ არა ბუნებასთან თანწყობასა და ჰარმონიაში, (მუდმივი მზის ენერჯის კვლავწარმოებითა და ეკო მეგობრული ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ ადგილას) ?		
1. დიახ	527	84.1
2. არა	13	2.4

3. არ ვისარგებლებ	7	0.9		
4. არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	52	8.3		
5. სხვა (დია პასუხი)	9	1.4		
პასუხი არ დააფიქსირა	18	2.9		
19. დღეიდან იზრუნებით, რომ შეგეცვალათ საკუთარი ცხოვრების წესი და ყოველდღიური აქტივობები, იმისთვის, რომ მეტად დაცული ყოფილიყავით თავის გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან? (შეაფასეთ ციფრების მეშვეობით)				
1	2	3	4	5
სრულიად არ ვეთანხმები		სრულიად ვეთანხმები		
1. სრულიად არ ვეთანხმება	28	4.4		
2. ნაწილობრივ არ ვეთანხმება	30	4.7		
3. ნეიტრალური	126	20.1		
4. ნაწილობრივ ვეთანხმება	144	23.2		
5. სრულიად ვეთანხმება	283	45.2		
პასუხი არ დააფიქსირა	15	2.4		
20. როგორ ხართ მომავლის ტექნოლოგიებისადმი განწყობილი, ფიქრობთ რომ თანამედროვე მიღწევებს, შეუძლია გარემოს პირობების ისე ცვლა, რომ ადამიანის ცხოვრება, გახდეს მეტად კომფორტული, პროდუქტიული და ერთი და იმავე ადგილიდან ხელშესახები გახდეს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება? (შეაფასეთ ციფრების მეშვეობით)				
1	2	3	4	5
სრულიად არ ვეთანხმები		სრულიად ვეთანხმები		
1. სრულიად არ ვეთანხმება	22	3.8		
2. ნაწილობრივ არ ვეთანხმება	20	3.1		
3. ნეიტრალური	118	18.8		
4. ნაწილობრივ ვეთანხმება	169	26.9		
5. სრულიად ვეთანხმება	289	46.4		
პასუხი არ დააფიქსირა	8	1		

მისი გათბობა-გაგრილება საკმაოდ ძვირი ჯდება. ამიტომ მნიშვნელოვანია გამახვილდეს ყურადღება, თანამედროვე ენერგოეფექტურ საშენ მასალაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბინაში სასურველ ტემპერატურას.

მზის ენერჯის ეფექტურად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბოლო პერიოდში ვითარდება მზის პანელები, მათი მარტივ ქმედების კოეფიციენტი 100%-დან თითქმის 78%-მდე აღწევს. მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება ქარის ტურბინებს და ბატარეებს.

მნიშვნელოვანია Lifecityland-ის და Lifeinforestland-ის საინვესტიციო წინადადების შეფასება, რაც ინვესტორს დაეხმარება სწორად შეაფასოს, ღირს თუ არა ინვესტიის დაბანდება აღნიშნული ქალაქებში. თუმცა, არანაკლები წვლილი შეიძლება ჰქონდეს ესკიზური პროექტის სოციალურ ეკონომიკურ ჭრილს. აუცილებელია, რომ ადამიანის ყოველგვარი ქმედება, რაც უკავშირდება გარემოს დაბინძურებას,

იქნას შეზღუდული და უფრო ეფექტიანი საშუალებებით ჩანაცვლებული.

საქართველოში, დეესპესა „DSP“ და ემდეფის „MDF“ მასალების იმპორტირება ხდება დიდი რაოდენობით, სამუხაზოდ ინდუსტრიული მერქანი და საწარმოო ტყეები ამჟამად არ გააჩნია ქვეყანას, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთადერთი არჩევანია უცხოური მასალები, რომელიც აქროლვადი წებოთია შეკრული და მისი გაუთხვავა, სხვადასხვა დაავადების რისკს ქმნის. ყველაზე ძვირფასი მასალებია ავსტრიული და შვეიცარიული კრონოშპანისა და ეგერის პროდუქცია. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც ლაქ-საღებავებსა და მსგავს საშუალებებს ყიდულობს ადამიანი სახლისთვის. ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ ის უკუეფექტი, რაც შეიძლება გამოიწვიოს გაუფრთხილებლობამ და ჯანმრთელობის გაუარესებამ, ქიმიური შენაერთებით გაჯერებული პროდუქტებით მოხმარების შედეგად. პატარა

ცხრილი 2: რესპოდენტთა გამოკითხვის შედეგები ჯანსაღი ცხოვრების წესთან მიმართებით

მახასიათებლები	რესპოდენტთა რაოდენობა რეკომენდირებული:(n=385) მონაწ.მიიღო: (n=512)	%
1.სქესი		
1.კაცი	384	75
2.ქალი	115	23
პასუხი არ დააფიქსირა	13	2
2.ასაკი		
1.20 წლამდე	37	7.2
2.20-30	187	36.5
3.31-40	109	21.2
4.41-50	107	20.8
5.≥ 50	62	12.4
საშუალო ასაკი	(35± 5)	
პასუხი არ დააფიქსირა	10	1.9
3.ეკოლოგიურად სუფთა საკვების ხსენებაზე, პირველ რიგში რა გახსენდებათ?		
1.წარმოებულია საქართველოში	12	2.3
2.წარმოებულია ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიით საქართველოში	92	17.9
3.წარმოებულია ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიით ნებისმიერ ქვეყანაში	205	40
4.მოყვანილია სოფელში, გლეხის მიერ	160	31.2
5.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	15	2.9
პასუხი არ დააფიქსირა	28	5.7
4.რა არის მეტწილად დაბინძურებული ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი საქართველოში? (დააფიქსირეთ, 3 თქვენთვის მნიშვნელოვანი პასუხი)		
1.სასმელი წყალი	83	16.6
2.ქიმიური მეთოდით მოყვანილი აგროპროდუქტები	319	63.7
3.ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერების შემცველობით დამზადებული სხვადასხვა საკვები პროდუქტები (ტკბილეული, კონსერვები, რძის პროდუქტები და სხვ.)	347	69.3
4.ყოველდღიური გამოყენების ნივთები (მაგალითად, პლასტმასის საგნები, ორგანიზმისთვის საფრთხის შემცველი მასალისგან დამზადებული ჭურჭელი და სამზარეულოს ტექნიკა)	190	37.9
5.სათამაშოები, რომლებიც დამზადებულია საფრთხის შემცველი მასალისგან	121	24.2
6.დაბინძურებული მდინარეები	96	19.2
7.ჰაერი	344	68.7
პასუხი არ დააფიქსირა	14	2.7
5.რომელი დაავადების პრევენციისთვის ანიჭებთ უპირატესობას ეკოპროდუქტების მოხმარებას? (მონიშნეთ 3 თქვენთვის მნიშვნელოვანი სფერო)		
1.ავიცილებთ ჭარბწონიანობას	162	32.5
2.ავიცილებთ დიაბეტის საფრთხეს	129	25.9
3.ავიცილებთ სიმსივნური დაავადებების გავრცელების საფრთხეს	432	86.7
4.დავიცავთ ორგანიზმს ტოქსინებისა და რადიაციული ზეგავლენისგან.	363	72.9
5.ავიშალებთ იმუნიტეტს	236	47.4

6.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	4	0.8
პასუხი არ დააფიქსირა	14	2.7
6.არის თუ არა თქვენთვის ადვილად ხელმისაწვდომი ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტი (საკვები, ტანსაცმელი, საოჯახო საქონელი და ა.შ.) ? (დააფიქსირეთ, 3 თქვენთვის მნიშვნელოვანი პასუხი)		
1.დიახ, ადვილად ხელმისაწვდომია	55	11
2.არა, რადგან გაბნეულია და არ არის ერთიან სივრცეში თავმოყრილი	305	61.1
3.არა, რადგან ძვირია	186	37.3
4.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	31	36.2
პასუხი არ დააფიქსირა	13	2.5
7.როგორ ფიქრობთ, ეტიკეტი გვაძლევს სრულყოფილ ინფორმაციას პროდუქტის ეკოლოგიურ სიჯანსაღეზე?		
1.არა, ეტიკეტზე არ არის მითითებული სრულყოფილი ინფორმაცია	405	79
2.დიახ, ეტიკეტზე მითითებულია სრულყოფილი ინფორმაცია	34	6.6
3.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	60	11.9
პასუხი არ დააფიქსირა	13	2.5
8. ისარგებლებდით თუ არა ეკო ონლაინ-მარკეტით, რომელსაც ასევე საინფორმაციო-საგანმანათლებლო დანიშნულება ექნება?		
1.დიახ, ვისარგებლებ	393	76.7
2.არ ვისარგებლებ	36	7.0
3.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	73	14.2
პასუხი არ დააფიქსირა	10	2.1
9.გაწვერიანდებით შემეცნებითი ხასიათის ეკო-კლუბში, რომელიც მომხმარებელთა ინფორმირებულობას და მხარდაჭერას უზრუნველყოფს?		
1.დიახ, გავწვერიანდები	53	10.3
2.არა, არ გავწვერიანდები	82	16.0
3.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	366	71.4
პასუხი არ დააფიქსირა	11	2.3
10.მივიღებ მონაწილეობას ეკოპროდუქტების გამოფენა-გაყიდვაში?		
1.მივიღებ მონაწილეობას, როგორც მომხმარებელი	330	64.4
2.მივიღებ მონაწილეობას, როგორც მწარმოებელი	66	12.8
3.არ მივიღებ მონაწილეობას	49	9.5
4.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	52	10.4
პასუხი არ დააფიქსირა	15	2.9
11.ჩამოთვლილთაგან, რომელი პრობლემა გაწუხებთ ყველაზე მეტად? (შემოხაზეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემები)		
1.ეკო-პროდუქტების ერთიანი, თუნდაც ონლაინ-სივრცის არარსებობა	104	20.8
2.არაჯანსაღი პირველადი მოხმარების საგნებითა (საკვები, ტანსაცმელი და საცხოვრებელი გარემო) და გარემო პირობებით გამოწვეული დაავადებების სიხშირე	367	73.4
3.დეტა და სამკურნალო კვება არაჯანსაღი პროდუქტებით	67	13.4
4.პროდუქტის არასრულყოფილი ეტიკეტირება	107	21.4
5.არც ერთი ჩამოთვლილთაგან	8	1.6
6.არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	19	3.8
პასუხი არ დააფიქსირა	15	2.9

ბავშვების საძინებლები დამზადებული უნდა იყოს, ნატურალური ხისგან. საავჯვე დეტალები დაწიბოვებულ უნდა იყოს ყველა მხრიდან, რაც შეამცრებს წებოსა და აქროლვადი ნივთიერებების მასალებიდან გაჟონვას (ეკოკვლევა, 2019, 3).

დისკუსია

კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა ეკო ქალაქის კონცეპტუალური პროექტი. „MIXPROJECT“-ის ქვეპროექტი „LIFEINCITYFORESTLAND“-ის მიხედვით, ეკო ქალაქში მიწაზე ასფალტი არ არის დაგებული და საზოგადოებას გადაადგილებისთვის ემსახურება დრონები. თანამედროვე ტექნოლოგიები შესაძლებლობას იძლევა აშენებულ იქნას ეკო ქალაქი ბუნებასთან სრულ თანწყობაში. აღნიშნულ პროექტში, საყრდენი ბურჯები სამკუთხედი შენობების სახით წარმოდგენილია სულ 3-ცალი და საცხოვრებელი კომპლექსები სართულზე 9 ცალი და ორ სართულზე სულ 18 ცალი. შუაში გამჭირვალე მყარი ე.წ მინაა (ბადისებრი უჯრედებით განლაგებული). ეს სივრცე გამოყენებულია ფეხით გადასადგილებლად და ბადის დასასრულს არის მოაჯირი. იგი მრვალფუნქციურია და მასში დამონტაჟებული ბალიშები, საშუალებას იძლევა გადაადგილებისას ელექტრონერგია გამოიმუშავოს და ღამე გაანათოს. ასევე ბადის უჯრედს ფუნქცია აქვს, როდესაც მასზე დადიხარ გახდეს წამიერად გაუმჭირვალე და ყველაზე დიდი უპირატესობა მისი, მდგომარეობს იმაში, რომ ჩამონტაჟებული აქვს ინსტალაციები და შეუძლია ნებისმიერი მასალა გაუშვას და ვიზუალურად აჩვენოს 3D-ფორმატში, რაც თავისთავად დაეხმარება ტურისტს ერთი ფანჯრის პრინციპით დაათვალიეროს არსებული რეგიონი და დაგეგმოს ტური მისთვის სასურველ ადგილას. თუმცა, იგი ასევე ხელს შეუწყობს დიზაინერებს, IT-სფეროს წარმომადგენლებს ცხოვრების ჯანსაღი და ნაყოფიერი წლების გატარებაში, სახლიდან გაუსვლელად მუშაობაში „Freelancer“-ობით. ისინი შეიძლება ცხოვრობდნენ მშვიდად, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ მეგობრულ ეკო ბინებში და ყველაფერთან წვდომა ჰქონდეთ ელექტრონულად. ყველა ბინას სახურავზე თან ახლავს დრონის დასაჯდომი მრგვალი არეალი. სამკუთხედის ფორმის შენობას, გარდა იმისა, რომ საყრდენის ფუნქცია აქვს, გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულებითაც. ხოლო საყრდენ ბურჯზე განთავსებული მრგვალი არეალიდან, შესაძლებელი გახდება დედამიწაზე ვერტიკალურად ჩავიდნენ ადამიანები ელ.ლიფტით. ადამიანებს მიეცემა სრულ რეკრეაციაში განტვირთვის, დასვენებისა და მუშაობის შესაძლებლობა. ეს მიმართულება ტრენდულ სახედ შეიძლება განხილულ იქნას ისეთი

ადამიანებისთვის, რომლებიც მოძრაობაში არიან, მაგ: ტურისტები, იგი წარმოადგენს შესანიშნავ ადგილს, მათი ადგილობრივ ლანდშაფტის კიდევ უფრო ახლოს შეცნობისთვის. ელექტრონერგია, ბუნებრივი აირი და წყალი თავისუფლად შესაძლებელია, რომ მიეწოდოს აქ მცხოვრებ მოსახლეობას. თუმცა, რაც შეეხება კალანზაციასა და სხვა ნარჩენის გადამუშავებას, შესაძლებელია, რომ გამოყენებული იყოს თანამედროვე ბიო ტუალეტი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს გადამუშავდეს ფეკალური მასა და გამოიყოს სუფთა ტექნიკური წყალი, რომელსაც გამოყენება მიეცემა, ხედა დამატებითი მორწყვისთვის განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურის დროს. ნაგავი და სხვა ტექნიკური ნარჩენები დახარისხებული იქნება. მიწაში იქნება ჩადგმული ბუნკერები და ფართო მიწების მეშვეობით მოხდება მათში ნარჩენების ჩაყრა. ტექნიკური სამუშაოების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება დრონები, ხოლო მათ საშუალება მიეცემა გაიტანონ ნარჩენები და სპეციალურ ქარხნებში გადამუშავდეს ისინი. თანამედროვე ტენდენციების მიხედვით ბუნებრივი აირის დიდი ოდენობით გამოყენება აზიანებს დედამიწას. ასევე, შესაძლებელია ენერგოეფექტური მცენარეების გამოყენება. ასეთი მცენარეა მისკანტუსის პლანტაცია, რომლის გადამუშავებით მიიღება ბიოსაწვავი. იგი საქართველოს ტერიტორიას ძალიან კარგად ეგუება, მერქანი საკმაოდ მყარი აქვს. ასევე აღსანიშნავია, ის რომ ქარის, მზის ელექტრობატარიებისა თუ წყლის ტურბინების დამონტაჟება უზრუნველყოფს საკუთარი მოთხოვნების უმეტესწილად დაკმაყოფილებას.

ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა ბინის ინტერიერის დიზაინი, რომლის დაგეგმარება უნიკალურია, რადგან მასში მცხოვრებ ადამიანებს შეეძლებათ ხედი ჰქონდეთ ბუნებაზე და თავი აარიდონ დაბინძურებულ არეალში ცხოვრებას. ინტერიერში კედლის დასასრულსა და ჭერის დასაწყისთან ყველაზე მაღალ წერტილებში განლაგებულია დახურული თაროები. მოქნილი, ჭერზე დამონტაჟებული სრიალა მექანიზმით შესაძლებელია თაროს გამოცურება ადამიანისთვის მოსახერხებელ ადგილზე. შემდეგ კი გარმონის მსგავსი მექანიზმით დაბლა ჩამოწევა, პროდუქტის კულტივირება ან მოსავლის აღება და ისევ დაბრუნება ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებით საწყის პოზიციაზე. სხვა შემთხვევაში თაროში პროდუქტის მოყვანა წარმოებს ავტომატურად, თუ გავითვალისწინებთ, რომ კედელში ჩაშენებულია ჰაერის ფილტრი, წვეთოვანი და დიოდის განათება-შუქის ორი სპექტრით: მცენარის ზრდისთვის, გვჭირდება 450 ნანომეტრი, ეს არის ლურჯი სინათლე, რომელიც ფესვთა სისტემის განვითარებისთვის არის 650 ნანომეტრი, ეს არის წითელი სინათლე. საერთო ჯამში ისინი, ფოთოლისა და მცენარის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ჩვენ შევძლებთ, მოვიყვა-

ნოთ ჯანსაღი ბიო მცენარეები (კევილი, მიკრომწვანელები და სხვა) ორგანულ ნიადაგზე. ინდივიდუალური შექმნადა ყოველ 10-დღეში მიწაზე სუფთა პროდუქტი, გამორჩეული ვიტამინებითა და მაღალხარისხობრივი საგემოვნო თვისებებით.

ბინის შიდა ნახაზის მიხედვით, წარმოდგენილი საცხოვრებელი ფართის ჯამური კვადრატული მეტრის ოდენობა შეადგენს 78-ს. ეს ეფექტიანია, დაახლოებით 2-4 ადამიანის კომფორტულად ცხოვრებისთვის. გარე კედლების სისქე შეადგენს 40 სმ-ს, ხოლო შიდა კედლებისა 15 სმ-ს.

ბინის შიდა დიზაინის რენდერ მოდელში გამოტანილია სხვადასხვა სახის საჭირო ელემენტი, ხოლო ავეჯით გაწყობა ადამიანს შეეძლება მაშინ, როდესაც საცხოვრებლად გადავა ბინაში. ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანი დაამზადოს მასიური ხისგან ავეჯი, თუ გამოიყენოს „DSP“ და „MDF“-ის ფილები, გამორჩეული ხარისხის მასალით, როგორცაა არის ავსტრიული და შვეიცარიული კრონოშპანისა და ეგერის პროდუქცია და დააწიბოვნოს ყველა არე ფილის, რათა თავიდან აირიდოს აქროლვადი წებოს მავნე ზემოქმედება.

ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ შევიშავეთ კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას აპლიკაცია, რომელიც გააერთიანებს ყველა იმ პროდუქტს, რასაც ადამიანი დღის რაციონად იღებდა. რეკომენდაცია მიეცემათ ინდივიდებს, იმ შესაძლებლობებზე, რასაც მეტი პრევენციისთვის, არაჯანსაღიდან ჯანსაღი ცხოვრების წესზე გადასვლისთვის გამოიყენებდნენ. ჩვენ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა (ჯანმო) და სხვა წყაროებიდან წამოვიღებდით მაღალვალდურ კვლევებს საკვები პროდუქტების შესახებ და ჩავშლიდით თითოეული ხილისა და ბოსტნეულის ჭრილობი, რომელიც მისცემდა ადამიანს სრულყოფილ ცოდნას, რამდენ ვიტამინს, მინერალს, ცხიმს, ნახშირწყალსა და სხვა მსგავს სასარგებლო თუ უსარგებლო ნივთიერებას აგროვებს. იქნ-

ბოდა, ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური სტატისტიკის ნახვისა და გადამოწმების შესაძლებლობა ასევე ყოველდღიური მონიტორინგი, თუ რა მოუხდებოდა ინდივიდის ორგანიზმს რომ იმ დღეს ზუსტად ეს პროდუქტი მიერთვა, რათა შეეცხო, ის ნორმა კონკრეტული ნივთიერებებისა, რაც დეფიციტში ექნებოდა. ამ ყველაფერს, თუ რა საკვებისა თუ სასმელის დაღვევა და საკვების შეჭმა მოახერხა ინდივიდმა შესაბამის მომენტში, შეიყვანდა ხელით და დააფიქსირებდა, რათა შესაბამისი მონაცემები დათვლილიყო. ეს მეთოდი სახელმწიფოს დაეხმარება პრევენციული ღონისძიებით მეტი ეფექტურობის მიღწევასა და დაავადების ტვირთის შემცირებაში, რომელიც დღეს იხარჯება ავადმყოფი პაციენტების მკურნალობა /გამოჯანმრთელებაზე. იხილეთ აღნიშნული აპლიკაციის “ABC HEALTH”-ის სურათები.

ჩვენი პროექტი, შემუშავდა გაეროს მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებიდან გამომდინარე და სრულიად თავსებადია მასთან. ეს მიზნები და მათი მასშტაბურობა, განსაზღვრავს მის პრიორიტეტს მსოფლიოში. რეალურია შესაძლებლობა იმის, რომ არსებული რისკები მინიმუმამდე დავიყვანოთ და სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ზემოთ აღნიშნული ესკიზური პროექტი. იხილეთ ილუსტრაციები:

დასკვნა და რეკომენდაციები


კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო თუ წაახალისებს ეკოლოგიური პროექტების მშენებლობის ინვესტიციებსა და გრანტებს, თუ ხალხს მიეცემა 20-30-40 წლით გრძელვადიანი სესხი დაბალ პროცენტში, მოსახლეობა შეძლებდა ზემოთ განხილული ტიპის

ილუსტრაცია 1: კომპლექსის ესკიზ-რენდერი 1.

ილუსტრაცია 2: კომპლექსის ესკიზ-რენდერი 2.



ილუსტრაცია 3: კომპლექსის ესკიზ-რენდერი.



ილუსტრაცია 4: ე.წ ბინის შიდა დიზაინი.



ილუსტრაცია 5: ბინის შიდა ნახაზი.



ილუსტრაცია 6: ბინის შიდა დიზაინის რენდერ მოდელი.



ილუსტრაცია 7: აპლიკაციის “ABC HEALTH” პროტოტიპი.



ქალაქებში გადასვლას საცხოვრებლად. ეს კი წახალისებდა ეკონომიკასა და ადამიანის ცხოვრება გახდებოდა მეტად პროდუქტიული, ნაყოფიერი და ჯანსაღი, რაც თავისმხრივ მას ხელს შეუწყობდა გრძელვადიან პერიოდში მეტი ჯანსაღი, ხარისხობრივი ცხოვრების წლების გატარებაში. მსგავსი კვლევები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებულა, სადაც რესპოდენტებიც ადასტურებენ, რომ მათი მოთხოვნაა, იცხოვრონ ჯანსაღ, სუფთა, ეკოლოგიურ გარემოში. ძნელია განსაზღვროთ ამ უნიკალური კონცეპტუალური პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ჭრილი, რამდენი მილიარდი დოლარი ჯდება ადამიანისთვის 1 წლით სიცოცხლის გახანგრძლივება და როგორ დაეხმარება ეს ჯანდაცვის სამინისტროს ავადობის ხარჯების შემცირებაში.

საზოგადოება მზადაა იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით. ჩვენ მიერ შემუშავებული აპლიკაციის კონტენტ პროექტი, ასევე ხელსაწყო ელექტროლიზის შესახებ

ინფორმაცია, რომელიც აღმოაჩენს საკვებ პროდუქტებში პესტიციდებს და დაადგენს, რამდენად მავნეა ან ჯანსაღია საქონელი, დაეხმარება ადამიანებს, თუნდაც ასეთ ეკოლოგიურ ადგილებში ცხოვრებით, თავი დაიცვან გაუფრთხილებლობით გამოწვეული რისკებისგან. საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება. უმნიშვნელოვანესია მწვანე ეკო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში. არსებობს მრავალი შემაფერხებელი ფაქტორი, თუმცა ყველაფერი დაძლევადა და ის რომ დღეს დაიწყო ამ საკითხზე საუბარი და კონცეპტუალური პროექტის შემუშავება, უკვე წინ გადაგმული ნაბიჯია.

The research implemented by the author and was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [MR-18-093]

გამოყენებული ლიტერატურა:

1. World Health Organization. (2018). "World Health Organization Releases New Global Air Pollution Data." CCAC Secretariat. <http://ccacoalition.org/en/news/world-health-organization-releases-new-global-air-pollution-data> (10.05.2019)
2. Petryk, Agnieszka. (2018). "Epidemiology of Selected Diseases Related to Air Pollution in Krakow." Journal of Ecological Engineering 19 (6): 124–31. doi.org/10.12911/22998993/92892.
3. Madhipatla Kishore, Venkatesh S, Christopher D J, Stanaway D Jeffrey, Dhaliwal R S, Dandona Lalit, Singh Virendra, et al. (2018). "The Impact of Air Pollution on Deaths, Disease Burden, and Life Expectancy across the States of India: The Global Burden of Disease Study 2017." The Lancet Planetary Health 3 (1): e26–39. doi.org/10.1016/s2542-5196(18)30261-
4. Diamandis Peter. (2019). <https://www.diamandis.com/blog/future-of-cities-part-1> (5.06.2019)
5. საქსტატი. (2019). "საქართველოს მოსახლეობა." 2019. <https://www.geostat.ge/> [Geostat. (2019). «Georgian population.» 2019. <https://www.geostat.ge/>. In Georgian]. ka/modules/categories/41/mosakhleoba. (01.03.2019)
6. ეკოკვლევა (2019). (1) [Eco-examination (2019). (1). In Georgian]. https://drive.google.com/open?id=1AYyimUXo-dfZQxy5N-6hKn3ZCzRm_IYU
7. ეკოკვლევა (2019). (2) [Eco-examination (2019). (2). In Georgian]. <https://drive.google.com/open?id=1J-h4dn42m8q8T4AS-DexgJI1bKScEULT>
8. ეკოკვლევა (2019). (3) [Eco-examination (2019). (3). In Georgian]. <https://drive.google.com/open?id=1rDavn46wuPiv8IBI-J5AODOYToA11ZDk>

JEL Classification: Q57

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.024>

HEALTH PROMOTION IN GEORGIA ECO INFRASTRUCTURE DEVELOPMENT AND TECHNOLOGICAL ASPECTS

LEVANI KIKILASHVILI

Ilia State University, Georgia
lkikilashvili555@gmail.com

TENGIZ VERULAVA

Doctor of Medicine, Professor
Ilia State University, Georgia
tengiz.verulava@iliauni.edu.ge

KEYWORDS: DISEASE-PREVENTION; ENGINEERING-TECHNOLOGY; ECO INFRASTRUCTURE; INNOVATION-NOVATION.

For citation: Kikilashvili L., Verulava T. (2019), Health Promotion In Georgia Eco Infrastructure Development And Technological Aspects, *Globalization And Business*, №7, pp. 187-200. (In Georgian). <https://doi.org/10.35945/gb.2019.07.024>

SUMMARY

At the beginning of new millennium, Georgia has faced a variety of environmental challenges. The reduction of green space and poor air quality became the major underline risk factor in the rise of many types of diseases in big cities. One of the distinct characteristics of Georgia is its unique natural resources and landscapes. That creates a possibility to design strategies for more sustainable social-economical development of our country. We believe the development of eco infrastructure and its appropriate support system can increase the longevity and overall life quality among the residents of Georgia. Living in the

ecologically clean environment became a major challenge among many populations across the globe. The global economic development has gaps in supporting eco-friendly life standards. Therefore, it becomes critical to study environmental pollution and seek cutting-edge strategies to build a more sustainable and eco-friendly environment for the health of people and the entire planet. New, technologically advanced eco-projects have the potential to create new social and environmental climate in Georgia, thus improving health, productivity, and well-being of the entire nation.

ქართული ეკონომიკური
ტერმინოლოგიის სრულყოფის შესახებ

ON THE IMPROVEMENT OF GEORGIAN
ECONOMIC TERMINOLOGY

JEL Classification: B41

<https://doi.org/10.35945/gb.2019.07.025>

როგორ უნდა ითარგმნოს ქართულად ტერმინი "GROSS DOMESTIC PRODUCT"¹

ვლადიმერ პაპავა

პროფესორი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, საქართველო

ავთანდილ სილაგაძე

პროფესორი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, საქართველო

თანამედროვე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურასა და ოფიციალურ სახელმწიფო დოკუმენტებში ინგლისური ტერმინის "Gross Domestic Product (GDP)" ქართულად ითარგმანება, როგორც "მთლიანი შიდა პროდუქტი" (ასათი-ანი, 2014, გვ. 249) და/ან "მთლიანი შიდა პროდუქტი" (გუგუ-შვილი, და სხვ., 2001, გვ. 38, 467; სილაგაძე, და სხვ., 2005, გვ. 408)².

ჩვენი აზრით ინგლისური ტერმინის ამგვარი თარგმნა არ არის ზუსტი, რადგანაც ეს თარგმანი განხორცილებულია არა ინგლისური, არამედ რუსული ენიდან. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, XX საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში ქართული პოლიტიკური ელიტისათვის უმთავრესი უცხო ენა იყო რუსული (ინგლისური ენის ჯეროვან დონეზე არცოდნის გამო), რის შედეგადაც ქართულ ენაში ტერმინი "მთლიანი შიდა პროდუქტი" რუსული ენის ზეგავლენით დამკვიდრდა, რადგანაც "Gross Domestic Product (GDP)" რუსულად თავიდანვე ითარგმნა როგორც «Валовый Внутренний Продукт (ВВП)».

სინამდვილეში, თუ ტერმინის "Gross Domestic Product" უშუალოდ ვთარგმნით ინგლისურიდან, მაშინ ქართულად უნდა იყოს "მთლიანი სამამულო პროდუქტი".

1993 წელს ინგლისური ტერმინის "Gross Domestic Product" ქართულ შესატყვისად ამ სტატიის ართ-ერთმა თანაავტორმა შემოგვთავაზა ტერმინი "ერთობლივი სამამულო პროდუქტი" (პაპავა, და სხვ., 1993, გვ. 244). არც ეს თარგმანია სწორი, რადგანაც მასში გაპარულია უზუსტობა. კერძოდ, ინგლისური სიტყვა "Gross"-ის ქართული შესატყვისია "მთლიანი" და არა "ერთობლივი".

ეს უზუსტობა მოგვიანებით გამოასწორა ამ სტატიის მეორე თანაავტორმა, რომელმაც მსოფლიოში აღიარებული სახელმძღვანელოს, კრუგმანის, ობსტფელდის და მელიტცის "საერთაშორისო ეკონომიკის" (Krugman, Obstfeld, Melitz, 2015) ქართული თარგმანის რედაქტირებისას ტერმინი "Gross Domestic Product" თარგმნა, როგორც "მთლიანი სამამულო პროდუქტი" (კრუგმანი, ობსტფელდი, მელიტცი, 2017, გვ. 1).

ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებელია, რომ დღეს მაინც ქართულ ენაში კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს ტერმინმა "მთლიანი სამამულო პროდუქტი", როგორც "Gross Domestic Product"-ის ინგლისურიდან ქართულად სწორმა თარგმანმა.

¹ Papava V., Silagadze A., 2019. "How the Term the "Gross Domestic Product" should be Translated into Georgian." Globalization and Business, No. 7, pp. 203-204. (In Georgian.)

² ჩვენი აზრით, დღეს უკეთესია თუ სიტყვა "შიდა"-ს ნაცვლად გამოვიყენებთ უფრო თანამედროვე სიტყვა - "შიგა".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., 2014. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია. თბილისი, „სიახლე“.
2. გუგუშვილი პ., ჩანტლაძე ვ., ჩიქავა ლ., კოშკელაშვილი ა., 2001. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია. თბილისი, „სიახლე“.
3. კრუგმანი პ. რ., ობსტფელდი მ., მელიტცი მ. ჯ., 2017. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. პაპავა ვ., ახმეტელი რ., ლეიაშვილი პ., ულუმბერაშვილი ნ., 1993. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები (თეორიული ეკონომიკა). თბილისი, „მაცნე“.
5. სილაგაძე ა., გოშაძე გ., დემეტრაშვილი თ., ზურაბიშვილი ვ., ათანელიშვილი თ., 2005. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
6. Krugman P. R., Obstfeld M., Melitz M. J., 2015. International Economics: Theory and Policy. Tenth Edition. Boston, Pearson Education.

REFRENECES:

1. Asatiani R., 2014. Tanamedrove ekonomikis mcire entsiklopedia [Concise Encyclopedia of Modern Economy.] Tbilisi, “Siakhle.” (In. Georgian.)
2. Gugushvili P., Chantladze V., Chiqava L., Koshkelashvili A., 2001. Ekonomikuri da demographiuli terminologia [Economic and Demographic Terminology.] Tbilisi, “Siakhle.” (In. Georgian.)
3. Krugmani P. R., Obstfeldi M., Melitzi M. J., 2018. Saertashoriso ekonomika: teoria da politika [International Economics: Theory and Policy.] Tbilisi, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Publishing House. (In. Georgian.)
4. Papava V., Akhmeteli R., Leiashvili P., Ulumberashvili N., 1993. Sabazro ekonomikis saphudzvebi (teoriuli ekonomika) [Basis of Market Economy (Theoretical Economics.).] Tbilisi, “Matsne.” (In. Georgian.)
5. Silagadze A., Goshadze G., Demetrashvili T., Zurabishvili V., Atanelishvili T., 2005. Ekonomikis entsiklopediuri leqsikoni. [Encyclopedic Dictionary of Economics.] Tbilisi, Tbilisi University Publishing House. (In. Georgian.)
6. Krugman P. R., Obstfeld M., Melitz M. J., 2015. International Economics: Theory and Policy. Tenth Edition. Boston, Pearson Education.

ჟურნალ „გლობალიზაცია და ბიზნესის“ სარედაქციო კოლეგია იზიარებს აკადემიკოსების ვლადიმერ პაპავასა და ავთანდილ სილაგაძის მოსაზრებას ტერმინ „მთლიანი სამამულო პროდუქტის“ შესახებ და მოუწოდებს ჟურნალის მომავალ ავტორებს გამოიყენონ ის.

კრიტიკა და რეცენზიები

CRITICISM AND REVIEWS

გერმანიაში გამოცემული ქართველ ავტორთა ნიგნი აქტუალურ თემაზე¹

2019 წელს გერმანიაში გამომცემლობა „ლამბერტმა“ გამოსცა ქართველი ავტორების პროფესორების დემურ ჩომახიძისა და მაია მელიქიძის წიგნი „ენერგეტიკის განვითარების მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური საფუძვლები საქართველოში“. წიგნი მოცავს 66 გვერდს და შედგება ორი ნაწილისგან: პირველში მოცემულია საქართველოს ენერგეტიკაში არსებული გამოწვევები; მეორეში კი ავტორებს ჩამოყალიბებული აქვთ დარგის განვითარების მათეული კონცეფცია.

დარგში არსებული გამოწვევებიდან ავტორებს ყურადღება გამახვილებული აქვთ რამდენიმე საკვანძო საკითხზე:

1. ენერგეტიკული ბალანსის დეფიციტი;
2. ქვეყნის ჩამორჩენილობა ელექტრიფიკაციისა და გაზიფიკაციის მაჩვენებელში;
3. დაბალი ენერგოეფექტიანობა;
4. არსებული სიმძლავრეებისა და ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების დაბალი დონე;
5. ენერგეტიკა და ეკოლოგიური პრობლემები;
6. მიწვევები და გამოწვევები ენერგეტიკის რეგულირებაში.

მეორე ნაწილში ავტორთა მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას საფუძვლად უდევს პირველ ნაწილში ჩატარებული ანალიზი და ის თავისებურებები, რომლითაც ხასიათდება ზოგადად ენერგეტიკა და კერძოდ, საქართველოს ენერგეტიკა.

• ეკონომიკის დარგთა შორის ენერგეტიკა ხასიათდება მაღალი კაპიტალტევადობით და ინტელექტუალური შრომატევადობით;

• დარგი მოითხოვს ინტენსიურ და უწყვეტ ფინანსირებას, რათა შეინარჩუნოს ფუნქციონირების უნარი და იმავდროულად მიაღწიოს პროგრესს მაკროეკონომიკური გარემოს მოთხოვნების შესაბამისად;

- სხვა დარგებისგან განსხვავებით ენერგეტიკას აკისრია მაღალი სოციალურ-ეკონომიკური პასუხისმგებლობა;
- ენერგეტიკა, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის დარგი საჭიროებს დამოუკიდებელ რეგულირებას.

ადგილობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე აღნიშნულია:

- მიღწევადი და განახლებადი რესურსების არსებობა;
- ენერგოდაზოგვის ფაქტორი;
- ეკოლოგიური მოთხოვნები.

წიგნიდან ნათლად ჩანს ავტორთა მაღალი პროფესიონალიზმი, დარგის ღრმა ცოდნა და მისი პერსპექტივების განჭვრეტის კარგი უნარი. წიგნი უთუოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. იგი სასარგებლო იქნება საქართველოს ენერგეტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის, მათ შორის უცხოელი ინვესტორებისთვის.

გივი ბედიანაშვილი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე – პრეზიდენტი

¹ Demur Chomakhidze, Maia Melikidze “Methodological and Conceptual Basis for the Energy Development in Georgia”. Liap. Lambert Academic publishing. 2019.

BOOK ABOUT THE KEY CHALLENGING ISSUES BY THE GEORGIAN AUTHORS THAT IS PUBLISHED IN GERMANY¹

In 2019 in Germany the Lambert Publishing has published the book – „Methodological and Conceptual Basis for the Energy Development in Georgia”. The book’s authors are PhD. Mr. Demur Chomakhidze and PhD. Mrs. Maia Melikidze. The book consists of 66 pages and implies two parts: the first part refers to the existing challenges in the Georgian energy sector and the second one comprises the sector development related concepts developed by the authors.

Among existing challenges in the sector, the authors focus on the following key issues:

1. Scarcity in energy balance;
2. Low level of electrification and gasification;
3. Insufficient energy efficiency;
4. Low level of utilisation of existing capacities and energy potential;
5. Energy and environmental problems;
6. Achievements and challenges in Energy Regulation;

Concept developed by the authorities presented in the second section is based on the analysis as well as on the specificities by which the energy sector (especially Georgian energy sector) is characterized. These analysis and specificities are presented in the first section of the book.

- Among other fields of economy, the energy sector is characterized by high capital intensity and requires huge intellectual resources;

- Intensive and continuous financing is needed for this sector in order to ensure its sustainable development and reach the progress in accordance with the conditions of the macro-economical environment;

- High social-economical responsibilities are imposed on the energy sector unlike other fields of economy;

- Independent and separated regulation is required for the energy as a natural monopoly.

The following factors are extremely important in terms of local specificities:

- existence of renewable and non-renewable resources;
- energy saving;
- Environmental requirements.

The book clearly shows high level of professionalism and qualification, comprehensive knowledge of the sector and excellent ability to foresee the prospects by the authors. The book truly deserves a positive reaction and feedback. It will be useful for the readers to whom the Georgian energy sector is interesting, including foreign investors.

*Givi bedianashvili – Doctor of Economic Science,
Professor, Vice-President of
the Georgian Academy of Economic Science.*

¹ Demur Chomakhidze, Maia Melikidze “Methodological and Conceptual Basis for the Energy Development in Georgia”. Liap. Lambert Academic publishing. 2019.

რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“

ინგლისური ტექსტის კორექტორი: **ნინო ქერაშვილი**
დაკაბადონება: **ნიკა ხვედელიძე**
გარეკანის დიზაინი: **ლიზა ჯალაღონია**

თბილისი, 0141, დ. გურამიშვილის გამზ. №76

ტელეფონი: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

ფაქსი: (+995 032) 214 35 83

ელ-ფოსტა: info@eugb.ge

REFEREED AND PEER-REVIEWED INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL GLOBALIZATION & BUSINESS

Proof-reader of English text: **Nino Kerashvili**

Page Make-up: **Nika Khvedelidze**

Cover Design: **Liza Jalaghonia**

76 D. Guramishvili ave, Tbilisi, 0141, Georgia

Phone: (+995 32) 2 000 171

(+995 599) 96 94 59

Fax: (+995 032) 214 35 83

E-mail: info@eugb.ge